პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 18 მარტი, 1944 წ. № 57 (7001). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, განავითარეს რა შეტევა, დღეს, 17 მარტს, შემოვლითი მანევრის შედეგად დაიკავეს ქალაქი **დუბნო** — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ლვოვის მიმართულებით.

ქალაქ **დუბნოს** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **პუხოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **ნეხაევის**, გენერალ-მაიორ **ჩეროკმანოვის** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კოროლევის**, პოლკოვნიკ **პუშკარევის** ტანკისტებმა და არტილერიის გენერალ-მაიორ **კუზეევის** არტილერისტებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **დუბნოს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**დუბნოს**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 17 მარტს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **დუბნო**.

ხაუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **დუბნოს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წ. 17 მარტი.

ახალ გამარჯვებათა მოსაპოებლად

17 მარტს მუშაობა დაამთავრა საქართველოს სს რესპუბლიკის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესიამ, რომელმაც განიხილა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები. ეს საკითხები გამომდინარეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან და ერთხელ კიდევ მკაფიოდ მეტყველებენ სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილებაზე, მოწმობენ მის მტკიცე გადაწყვეტილებას ყველაფერი გააკეთოს მტრის სრული განადგურებისათვის.

სესიის მუშაობა მიმდინარეობდა გმირი წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით წითელი არმია საბჭოთა მიწა-წყალს ანთავისუფლებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან და ახლოებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს.

სესიის განსახილველად წარდგენილი საკითხები — საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, რომელიც უდიდესი მნიშვნელობისაა, სესიამ ღრმად და საფუძვლიანად განიხილა.

სესიამ დიდი ინტერესით მოისმინა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. ბაქრაძის მოხსენება საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოება, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენს. იგი გვიჩვენებს მოკავშირე რესპუბლიკათა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ძლიერებას, მთლიანად შეესაბამება ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე მთლიანად სსრ კავშირის ინტერესებს. ამიტომ უდიდესია ის მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ კანონს „საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“ და კანონს „საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“.

16 მარტს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ჩვენი რესპუბლიკის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს საქართველოს მშრომელთა პატრიოტულ ღონისძიებებს ფრონტის დასახმარებლად. იგი უზრუნველჰყოფს შემდგომ წინსვლას ეკონომიკისა და კულტურის დარგში, გამოხატავს შეუნელებელ ზრუნვას მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

დიდი სამამულო ომის ვითარებაში საბჭოთა საქართველოს მშრომელების — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის გმირულმა შრომამ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, სოციალისტური ტრანსპორტის წარმატებებმა ხელი შეუწყეს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტების წარმატებით შესრულებას. შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ჩვენი მდიდარი მატერიალური რესურსების მაქსიმალური გამოყენების, რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელების შედეგად ომის წლებში სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოსავალი და დაგროვება განუხრელად იზრდებოდა. სამამულო ომის ვითარებაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიური ძლიერების განმტკიცებას ნათლად მოწმობს 1941, 1942 და 1943 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წარმატებით შესრულება.

ამ წარმატებების მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა მოსახლეობის მიერ თანხების ნებაყოფლობითმა გაღებამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დასაფინანსებლად. საქართველოს მშრომელებმა დიდი რაოდენობით შეიძინეს სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები. სესიაზე ფინანსთა სახალხო კომისრის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსახლეობამ ომის წლებში შეიძინა 1.031.699 ათასი მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები. შემნახველ სალაროებში შეტანილია 19.794 ათასი მანეთის ახალი ანაბრები.

1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროებს, ისევე როგორც გასულ წლებში, წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა დაგროვება, რაც გათვალისწინებულია 638,7 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამიტომ, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმატებით მუშაობაზე არსებითად დამოკიდებულია ბიუჯეტის შესრულება. საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფესიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ მიმდინარე წელს საწარმოო-საფინანსო გეგმების მაღალხარისხოვნად, გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი მიმართულია დიდი **სტალინის** მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ისტორიულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისაკენ. ამ მიზნით წელს სახალხო მეურნეობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გაღებული იქნება 146.047 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 911.592 ათასი მანეთი, რაც 160 მილიონი მანეთით აღემატება 1943 წლის დანახარჯებს, მმართველობის ხარჯები კი შეადგენენ 106.333 ათას მანეთს.

1944 წლის ბიუჯეტი ნათლად გვიჩვენებს ჩვენი სახალხო მეურნეობის მძლავრ ზრდას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა. მასში ასახულია ხალხთა სტალინური მეგობრობის დიდი ძალა, საბჭოთა ადამიანების გმირული ღონისძიებანი წითელი არმიის, ფრონტის დასახმარებლად და ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

საჭიროა დავძაბოთ მთელი ჩვენი ძალები, რათა 1944 წელს მივაღწიოთ სრულ გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე. მიმდინარე წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს ამ დიდი ისტორიული ამოცანის განხორციელებას.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილნი ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** მიერ, ყველაფერს აკეთებენ და გააკეთებენ იმისათვის, რომ მოაახლოონ ჩვენი სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვების სასიხარულო ჟამი; ისინი კიდევ უფრო გააძლიერებენ დახმარებას წითელი არმიისადმი, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით გმირულ ბრძოლას ეწევა მტრის წინააღმდეგ, გამანადგურებლად ურტყამს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და ძლევამოსილად მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ!

უკანასკნელი ცნობები

ისლანდიაში ჩავიდა სსრ კავშირის დესპანი

ლონდონი, 17 მარტი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, რეიკიავიკში ჩავიდა სსრ კავშირის დესპანი კრასილნიკოვი. პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში დესპანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას მხურვალედ სურს დამყარებულ აქნას მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ისლანდიას შორის.

ავილა კამაჩოს განცხადება

მეხიკო, 17 მარტი (საქდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა ავილა კამაჩომ ტიტოს არმიის დახმარების იმ კომიტეტის წევრებთან საუბარში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა მექსიკაში, განაცხადა, რომ ის იწონებს კომიტეტის მუშაობის გეგმას. მან თავისი დახმარება აღუთქვა კომიტეტს და განაცხადა, რომ გააადვილებს იუგოსლავიაში იმათი გადაყვანის შესაძლებლობას, ვინც მოისურვებს ტიტოს არმიას შეუერთდეს.

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

ინფორმაციული ცნობა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესიის 1944 წლის 17 მარტის სხდომის შესახებ

17 მარტს, დილის 11 საათზე, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიულ თეატრში შესდგა საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჩლამაზაშვილი.**

დღის წესრიგშია განხილვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** მოხსენებისა საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ა. ი. მგელაძე** (წითელწყაროს ოლქი, სიღნაღის რაიონი), **ი. ი. ტალახაძე** (საჩხერის ოლქი, ჭიათურის რაიონი), **ი. ვ. ტიულენევი** (წითელი არმიის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), **ი. ო. მოსაშვილი** (სიღნაღის ოლქი, სიღნაღის რაიონი), **ნ. ნ. კეცხოველი** (ტყვიავის ოლქი, გორის რაიონი), **ი. ი. ნიკოლაძე** (თერჯოლის ოლქი, ჩხარის რაიონი).

ვინაიდან საწინააღმდეგო მოსაზრებები არ გამოთქმულა, მომხსენებელმა ამხ. **ვ. მ. ბაქრაძემ** საბოლოო სიტყვაზე უარი სთქვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს „კანონს საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“ და „კანონს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“.

ამ კანონების მიღების შემდეგ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა და სახალხო მსაჯულთა არჩევის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ვ. ი. ეგნატაშვილმა.**

დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილს ქ. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, სიღნაღის, ტყიბულის, თელავის, ონის, ხაშურისა და ქუთაისის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით წინადადება შემოაქვს გამოწვეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდან ოთხი კაცი, რომლებმაც ვერ გაამართლეს უმაღლესი სასამართლოს წევრის მაღალი წოდება, განთავისუფლებულ იქნას უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან 6 კაცი, მათი წითელი არმიის რიგებში მობილიზაციის ან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, და არჩეულ იქნას უმაღლესი სასამართლოს წევრად 6 კაცი და სახალხო მსაჯულად—71 კაცი.

უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილის წინადადებას.

ამით დამთავრა მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII სესიამ (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კანონი
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით, შემოსავლის ნაწილში — 1.174.601 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში — 1.174.601 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ 1944 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი დამტკიცდეს: შემოსავალი 889.075 ათასი მანეთის რაოდენობით, გასავალი — 483.544 ათასი მანეთის რაოდენობით და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან — 405.531 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. დამტკიცდეს ასსრ, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების 1944 წლის ბიუჯეტები შემდეგ თანხებში (ათას მანეთობით):

	გასავალი	შემოსავალი	მათ შორის:		
			საკუთარი შემოსავლები.	სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხები და დოტაცია	ზედმეტი შემოსავლების ამოღება რესპუბლიკურ ბიუჯეტში
აფხაზეთის ასსრ	73.928	73.928	26.318	47.610	—
აჭარის ასსრ	53.699	53.699	26.385	27.314	—
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	29.569	29.569	4.217	25.352	—
ქალაქი თბილისი	120.215	158.367	117.955	40.412	38.152
ქალაქი ქუთაისი	20.949	22.553	18.321	4.232	1.604
ქალაქი ფოთი	8.165	8.776	5.923	2.853	611
ქალაქი ჭიათურა	5.104	5.104	1.838	3.266	—
აბაშის რაიონი	6.086	6.086	1.886	4.200	—
ადიგენის რაიონი	6.130	6.130	666	5.464	—
ამბროლაურის რაიონი	7.240	7.240	1.393	5.847	—
ასპინძის "	5.469	5.469	532	4.937	—
ახალქალაქის "	9.889	9.889	1690	8.199	—
ახალციხის "	9.452	9.452	2.717	6.735	—
ბაშკიჩეთის "	5.560	5.560	518	5.042	—
ბოგდანოვკის "	4.959	4.959	528	4.431	—
ბორჯომის "	7.803	7.803	2.394	5.409	—
ბორჩალოს "	7.894	7.894	1.538	6.356	—
ბოლნისის "	5.392	5.392	993	4.399	—
გეგეჭკორის "	9.259	9.259	1.068	8.191	—
გორის "	14.110	14.110	4.054	10.056	—
გურჯაანის "	8.641	8.641	2.065	6.576	—
დუშეთის "	8.634	8.634	1.184	7.450	—
ვანის "	6.210	6.210	874	5.336	—
ზემო-სვანეთის "	3.942	3.942	601	3.341	—
ზესტაფონის "	9.330	9.330	3.924	5.406	—
ზუგდიდის "	13.511	13.511	4.348	9.163	—
თბილისის "	7.867	7.867	1.127	6.740	—
თელავის "	12.710	12.710	4.105	8.605	—
თეთრი-წყაროს "	6.826	6.826	1.645	5.181	—
თიანეთის "	3.453	3.453	672	2.781	—
კასპის "	7.036	7.036	926	6.110	—
ლაგოდეხის "	7.378	7.378	1.375	6.003	—
ლანჩხუთის "	6.899	6.899	1.745	5.154	—
მახარაძის "	13.314	13.314	2.729	10.585	—
მაიაკოვსკის "	5.172	5.172	894	4.278	—
მცხეთის "	5.575	5.575	892	4.683	—
ონის "	6.349	6.349	929	5.420	—
ორჯონიკიძის "	6.066	6.066	1.594	4.472	—
საგარეჯოს "	5.883	5.883	920	4.963	—
სამტრედიის "	8.424	8.424	3.800	4.624	—
საჩხერის "	6.110	6.110	1.151	4.959	—
სიღნაღის "	8.258	8.258	3.299	4.959	—
ტყიბულის "	6.229	6.229	1.156	5.073	—
ქარელის "	5.956	5.956	991	4.965	—
ქვემო-სვანეთის "	2.820	2.820	748	2.072	—
კლუხორის "	3.957	3.957	640	3.317	—
ქუთაისის "	5.484	5.484	482	5.002	—
ყაზბეგის "	2.935	2.935	268	2.667	—
ყარაიაზის "	3.007	3.007	616	2.391	—
ყვარლის "	4.906	4.906	755	4.151	—
ჩოხატაურის "	6.374	6.374	849	5.525	—
ჩხარის "	4.792	4.792	659	4.133	—
ჩხოროწყუს "	5.182	5.182	701	4.481	—
ცაგერის "	5.330	5.330	683	4.647	—
ცხაკაიას "	9.095	9.095	3.505	5.590	—
წალენჯიხის "	5.110	5.110	611	4.499	—
წალკის "	6.665	6.665	708	5.957	—
წითელწყაროს "	4.539	4.928	1.693	3.235	389
წყალტუბოს "	4.509	4.509	1.272	3.237	—
წულუკიძის "	6.968	6.968	2.215	4.753	—
ჭიათურის "	5.402	5.402	963	4.439	—
ხაშურის "	8.630	8.630	3.560	5.070	—
ხობის "	4.707	4.707	718	3.989	—
სულ	691.057	731.813	285.526	446.287	40.756

4. დაწესდეს 1944 წლისათვის სახელმწიფო გადასახადების და შემოსავლის ანარიცხების გადაცემა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტებში შემდეგი რაოდენობით:

ა) მოსახლეობისაგან საშემოსავლო გადასახადის შემოსავლიდან 10%

ბ) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადისა და კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 25%

გ) სამხედრო გადასახადის შემოსავლიდან 5%

დ) მოსახლეობასა და კოლმეურნეობათა შორის გავრცელებული სახელმწიფო სესხების თანხებიდან 15%

ე) არასასაქონლო ოპერაციებზე გადასახადიდან 100%

ვ) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შემოსავლიდან . 15%

ზ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 50%

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ბრუნვის გადასახადის ანარიცხების იმ თანხების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ, დააწესოს ამ გადასახადის ანარიცხის პროცენტები თითოეული ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა, თითოეული რაიონისა და ქალაქისათვის.

6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1940 წლის ანგარიში — შემოსავლის ნაწილში 1.337.846 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში — 1.245.829 ათასი მანეთი, შემოსავლის გასავალზე გადამეტებით 92.017 ათასი მანეთის რაოდენობით; 1941 წლის ანგარიში—შემოსავლის ნაწილში 1.310.575 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში—1.274.597 ათასი მანეთი, შემოსავლის გასავალზე გადამეტებით 35.978 ათასი მანეთის რაოდენობით და 1942 წლის ანგარიში — შემოსავლის ნაწილში 929.990 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 882.554 ათასი მანეთი, შემოსავლის გასავალზე გადამეტებით 47.436 ათასი მანეთის რაოდენობით.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1944 წ. 17 მარტი.

კანონი
საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ“, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

2. შეტანილ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი დამატებანი:

ა) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14 მუხლს „ძ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ძ) ადგენს საქართველოს სსრ საჯარისო ფორმირებათა შექმნის წესს“;

ბ) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციას მუხლი 16-ბ შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 16-ბ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჰყავს თავისი რესპუბლიკური საჯარისო ფორმირებანი“;

გ) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 48 მუხლს „ზ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ზ) ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ საჯარისო ფორმირებათა ორგანიზაციას“;

დ) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლს სიტყვების „საქართველოს სსრ სახალხო კომისრების“ შემდეგ სიტყვა — „თავდაცვისა“ და 55 მუხლს სიტყვების „სახალხო კომისარიატების“ შემდეგ სიტყვა — „თავდაცვისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი, 1944 წ. 17 მარტი.

კანონი
საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საგარეო ურთიერთობის დარგში უფლებამოსილობის მინიჭებისა და ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ“, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ კონსტიტუციაში შემდეგი დამატებანი:

ა) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-14 მუხლს „ც“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ც) ამყარებს საქართველოს სსრ წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობაში“;

ბ) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციას მუხლი 16-ა შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 16-ა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას უფლება აქვს დაამყაროს უშუალო ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დასდოს მათთან შეთანხმებანი და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები“;

გ) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 36 მუხლს „ი“ პუნქტი და „კ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ი) ნიშნავს და უკან იწვევს საქართველოს სსრ დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებში“;

„კ) იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა მასთან აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და უკანგაწვევის სიგელებს“;

დ) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 48 მუხლს „ვ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა;

„ვ) ახორციელებს ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დარგში, იმ საერთო წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის მიერ მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობისათვის უცხოეთის სახელმწიფოებთან“;

ე) დაემატოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებს სიტყვის „თავდაცვის“ შემდეგ სიტყვები — „საგარეო საქმეთა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1944 წ. 17 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდან ზოგიერთი წევრის გამოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

გამოწვეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდან:

მამალაძე ვლადიმერ გერასიმეს-ძე
ჯანელიძე ვარლამ სიმონის-ძე
გაგოშიძე გალაქტიონ გრიგოლის-ძე
ბერბერაშვილი ივანე მიხეილის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1944 წ. 17 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთი წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრობისაგან:

ბოკუჩავა ნიკოლოზ იაკობის-ძე
კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე
კოკაჩეიშვილი ალექსანდრე პარმენის-ძე
სამთელაძე ივანე ილარიონის-ძე
ქაჯაია სერგი იასონის-ძე
პაპასკირი ეფრემ სისოს-ძე
გეჯაძე ვლადიმერ იოსების-ძე
ლომიძე მიხეილ ყარამანის-ძე
გიორგაძე დავით ილიას-ძე
ჭელიძე სერაფიონ ლუარსაბის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1944 წ. 17 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

სიმონიშვილი ციცინო მიხეილის-ასული
გიორგობიანი ვარლამ ზაქარიას-ძე
ყუფარაძე პავლე პავლეს-ძე
კაკალოვი სარქის მიხეილის-ძე
რეხვიაშვილი ივანე შიოს-ძე
ჯიქია აკაკი დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1944 წ. 17 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულების არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულებად:

ქალაქ თბილისის
ბერიას სახელობის რაიონიდან:

ბერიტაშვილი ქეთევან პეტრეს-ასული
თოხაძე ქეთევან იოსების-ასული
ტარასოვა ანტონინა ანდრიას-ასული
ფერაძე ქეთევან ლავრენტის-ასული
ცხომელიძე გიორგი სილოვანის-ძე
უთმელიძე მარიამ ნიკოლოზის-ასული.

სტალინის სახელობის
რაიონიდან:

ბერიძე ევგენია ალექსანდრეს-ასული
პაგატილოვა ოლღა ექვთიმეს-ასული
ტერლეცკაია კლავდია ალექსანდრეს-ასული
ფიშმანი ეკატერინე გრიგოლის-ასული
შილოვა მარიამ ივანეს-ასული.

მოლოტოვის სახელობის
რაიონიდან:

ალოევა ვერა იოსების-ასული
ბეჟუაშვილი თამარ აბრამის-ასული
დარიალაშვილი სოფიო პეტრეს-ასული
ოჭანეზოვა ელენე ილიას-ასული
ჩაგელიშვილი ტარასი ოტიას-ძე.

ლენინის სახელობის
რაიონიდან:

ბარაბაძე ქსენია ვასილის-ასული
კვალიაშვილი თეკლე ბესარიონის-ასული
რაქვიაშვილი მარიამ ივანეს-ასული
ქისტაური მარიამ ივანეს-ასული
ჩაჩანიძე ვერა რაჟდენის-ასული.

ორჯონიკიძის სახელობის
რაიონიდან:

ბურჭულაძე ვერა ალექსის-ასული
ზარიძე გიორგი მიხეილის-ძე

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სახალხო მსაჯულების არჩევის შესახებ

(დასასრული)

კუტუბიძე გრიგოლ ესეს-ძე
ხატიაშვილი თამარ სოლომონის ასული
ჯაიანი ნინო ლევანის ასული

კიროვის სახელობის რაიონიდან:
აბრამაშვილი სალომე მარკოზის ასული
ბახტაძე ლუდმილა რაჟდენის ასული
მაცულინა ნინო ივანეს ასული
ორჯონიკიძე თამარ ნიკოლოზის-ასული
სულთანოვა ტიგრანუი ტიგრანის-ასული

26 კომისრის სახელობის რაიონიდან:
ასლამაზაშვილი ნინო მიხეილის-ასული
მესხი ალექსანდრა ვლადიმერის-ასული
მეიფარიანი ნადეჟდა ლევანის-ასული
მეტრეველი სერაფიონ ვასილის-ძე
მნაცაკანოვა ასია სტეფანეს-ასული

ქ. ქუთაისი:
კვირკველია დიმიტრი ანტონის-ძე
ჩაფიძე ივანე გრიგოლის-ძე.

ქ. ფოთი:
წულაია ოლღა იოსების-ასული.

გორის რაიონიდან:
ბადაშვილი მარიამ პეტრეს-ასული
ჯებისაშვილი ანა მიხეილის-ასული.

ხაშურის რაიონიდან:
ბარბაქაძე ალექსანდრე ლუკას-ძე.

გურჯაანის რაიონიდან:
ძველიშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე.

სამტრედიის რაიონიდან:
ახობაძე ეკატერინე ივანეს-ასული
ტაბიძე ლუბა დავითის-ასული.

ბორჯომის რაიონიდან:
მაისურაძე ფოტინე სერგის-ასული
ცხადაძე მარიამ ბესარიონის-ასული.

ბორჩალოს რაიონიდან:
ბაირამოვ ჰუსეინ ალი მუსას-ძე
დარბინიანი აკოფ სტეფანეს-ძე.

გეგეჭკორის რაიონიდან:
ხაჟომია მარიამ ილარიონის-ასული.

ყაზბეგის რაიონიდან:
ქუშაშვილი სალომე ლევანის-ასული.

ყარაიის რაიონიდან:
ალიევა სოფიო ანტონის-ასული.

ქვემო-სვანეთის რაიონიდან:
მუსელიანი თეიმურაზ ტარასის-ძე.

ქუთაისის რაიონიდან:
მარგველაშვილი იორამ პარმენის-ძე.

მცხეთის რაიონიდან:
იორდანიშვილი ნატალია მიხეილის-ასული.

ონის რაიონიდან:
ბერელიძე ქრისტეფორე სპირიდონის-ძე
გუგეშაშვილი ექვთიმე ალექსის-ძე.

ორჯონიკიძის რაიონიდან (ყოფ. ხარაგოული):
კვინიკაძე აპოლონ თალხანის-ძე.

თიანეთის რაიონიდან:
თურქიაშვილი მართა ივანეს-ასული
შუშანაშვილი პარასკევა თედორეს-ასული.

ხობის რაიონიდან:
პერტაია სილოვან გაბრიელის-ძე
კუტალია გული გრიგოლის-ასული.

ცაგერის რაიონიდან:
ბაქრაძე მიხეილ მოსეს-ძე.

წყალტუბოს რაიონიდან:
ბზიკაძე შალვა გრიგოლის-ძე.

ადიგენის რაიონიდან:
ხაჯალია ოლღა სპირიდონის-ასული
ჰუსეინოვი შახმურად კაფლან ოღლი

ლაგოდეხის რაიონიდან:
ჯალიაშვილი მარიამ ზალიკოს-ასული.

ბოგდანოვკის რაიონიდან:
მალხასიანი არუსიაკ გევორქის-ასული.

კასპის რაიონიდან:
დალაქიშვილი სოფიო გიორგის-ასული.

ჩხარის რაიონიდან:
ჭანკვეტაძე დარია პარმენის-ასული

ჩხოროწყუს რაიონიდან:
ლაგვილავა ვასილ საბას-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი 1944 წ. 17 მარტი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 მარტის ოპერატიული ცნობა

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, განავითარეს რა შეტევა, 17 მარტს შემოვლითი მანევრის შედეგად დაიკავეს ქალაქი დუბნო — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ლვოვის მიმართულებით, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი დემიდოვკა და დიდი დასახლებული პუნქტები ველნიჩე, ტორგოვიცა, ვოინიცა, ბოკუიმა, სმორდვა, რუდკა, პელჩა.

17 მარტის განმავლობაში პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშების მოგერიებას და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ქალაქ ვინიცის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოტოკი, სიდავა, გრიშევცი, მაიანივი, შერმნი, ვასილევკა, ზვონიხა, კოლიუხოვი, კანავა.

ქალაქ უმანის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები — ქალაქი ბრაცლავი, ქალაქი ტომაშპოლი, ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური კრიჟოპოლი, ჩეჩელნიკი, ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი პესჩანა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები უაგოკრიჩი, ორლოვკა, იურკოვკა, ჟურავლიოვკა, ველიკაია რუსავა, იგნატკოვო, კლემბოვკა, მიასტკოვკა, ოლშანკა, გორიაჩკოვკა, გოროდიშჩე, ვერბკა, სტრატიევკა, კამენოვატო და რკინიგზის სადგურები იურკოვკა, ჟურავლიოვკა, კნიაჟევო.

ქალაქ კიროვოგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრები—ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ნოვოუკრაინკა, დობროველიჩკოვკა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნოვო-ალექსანდროვკა, ვესიოლი კუტი, ლეონტოვიჩი, ნოვოეგორიევკა, ციბულკი, ვარვაროვკა, ტრუდოლიუბოვკა, ბერდიხინო, კრივონოსოვკა, მარიანოვკა და რკინიგზის სადგური ადაბაში.

ქალაქ ბობრინეცის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბობრინკა, პენკოვო, ნოვო-ალექსანდროვკა, შევჩენკო, ყოდიანო-მიხაილოვკა, ბაზელოვო, ოლგოპოლი, ვოსიატსკოე, ბოგოდაროვკა, შჩერბანი.

ნიკოლაევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის ნოვო-პეტროვსკოე, კოსტიჩი, ლობრიევკა, ინგულკა, ელენოვკა, კოპანი, ცარევოდარი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

16 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 35 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 6 შენაერთის ნაწილებმა გაафთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა. ჩვენმა მებრძოლებმა განავითარეს წარმატება, გადალახეს მდინარე იქვა და გაეშურნენ ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ დუბნოს სამხრეთიდან შემოსავლელად. ჩვენმა სხვა ნაწილებმა ჩრდილოეთიდან შემოუარეს ქალაქს, შემდეგ კი შეიჭრნენ მის დასავლეთ განაპირა უბანში. გერმანელები ცდილობდნენ გამაგრებულიყვნენ დუბნოს ძველისძველ სიმაგრეში, მაგრამ მოსპობილ იქნენ. დღეს ჩვენმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი დუბნო,—გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ლვოვის მიმართულებით. დუბნოსათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

• • •

ქალაქ ვინიცის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მდინარე იუჟნი ბუგი, გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და განდევნეს ისინი რამდენიმე პუნქტიდან. საბჭოთა მებრძოლებმა დაიკავეს სოფელი სიდავა, რომელიც რკინიგზის დიდ კვანძ ჟმერინკის მისადგომებზე მდებარეობს. ამაო ცდებში, რომ შეაჩეროს საბჭოთა ჯარების წინსვლა, მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის. მარტო ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა ერთი დღის განმავლობაში გაჟლიტეს მტრის 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 80 ქვემეხი, 70 ავტომანქანა, საომარი მასალების საწყობი და სხვა დავლა. სხვა რაიონში ჩვენი მებრძოლები გარსშემოერტყნენ და ლიკვიდაცია უყვეს გერმანელთა 223-ე ქვეითი დივიზიის ბატალიონს.

• • •

ქალაქ უმანის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას. ქალაქ ტომაშპოლის რაიონში საბჭოთა ნაწილები მიადგნენ მოწინააღმდეგის თავდაცვითს შუალედ ზღუდეს. ჩვენი ტანკისტები გაიჭრნენ გერმანელთა ზურგში და შემოუარეს მათს თავდაცვითს ხაზებს. მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ დაიხია უკან, ამასთან ბრძოლის ველზე დასტოვა ბევრი მოკლული და დაჭრილი თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა განავითარეს წარმატება და დაიკავეს ქალაქი ტომაშპოლი. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები—ქალაქი ბრაცლავი, ქალაქი კრიჟოპოლი, ჩეჩელნიკი, ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი პესჩანა და ბევრი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთ რაიონში ჩვენი ქვეითი ჯარის ბატალიონმა შეაღწია მოწინააღმდეგის ზურგში და გადასჭრა გზა, რომლითაც უკან იხევდა გერმანელთა ერთი პოლკი ქვეითი ჯარი. საბჭოთა მებრძოლებმა უეცრად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგეზე და გაჟლიტეს 800-ზე მეტი ჰიტლერელი. დანარჩენმა გერმანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა აღალები და იარაღი დაჰყარეს და თავზარდაცემულნი გაიქცნენ.

• • •

ნიკოლაევის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. გვარდიის 6 შენაერთის ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ და გაანადგურეს მოწინააღმდეგის ორი პოლკი ქვეითი ჯარი. გერმანელებს წაავართვით 10 ქვემეხი, 40 ავტომანქანა, 1.300 საზიდარი და დიდძალი სასროლი იარაღი. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა და ქვეითებმა უეცარი დარტყმით დაიკავეს დასახლებული პუნქტი ინგულკა. ამ სოფლისათვის ბრძოლაში მოსპობილია 2.000-მდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა და ტყვედ წამოვიყვანეთ 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ნიკოლაევის რაიონში მოწინააღმდეგის აეროდრომზე საბჭოთა ავიაციის თავდასხმის დროს ყუმბარით დაზიანებულ იქნა უმცროს ლეიტენანტ სტაპის ავიაგამანადგურებელი. თვითმფრინავი სწრაფად დაეშვა დაბლა და გერმანელთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაეშვა. უმცროსმა ლეიტენანტმა, მოიერიშე მილოვანოვმა როცა დაინახა, რომ მის თანამებრძოლ ამხანაგს უბედურება შეემთხვა, დაუყოვნებლივ გასწია ძირს დასაშვებად, მაგრამ ავარია განიცადა. აღმოჩნდა, რომ საზენიტო ცეცხლს მისი მანქანაც დაეზიანებინა. მაშინ მოიერიშეთა ჯგუფის წამყვანი, ლეიტენანტი დემეხინი ავარიაშემთხვეული მფრინავების გვერდით დაეშვა. ახლოს მუშაობდნენ კოლმეურნეები, რომლებიც ხედავდნენ, რა ხდებოდა მინდორში, საფრთხის მიუხედავად, კოლმეურნეთა ჯგუფმა საბჭოთა მფრინავების დასახმარებლად მიაშურა. რამდენიმე წუთის შემდეგ ამხ. დემეხინმა თავის თვითმფრინავში ჩასვა მფრინავი სტაპი და მოიერიშე მილოვანოვის ეკიპაჟი, ჰაერში აფრინდა და მშვიდობით მოიყვანა ისინი თავის აეროდრომზე.

• • •

ლვოვის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 25 თებერვალს მოახდინა გაბედული თავდასხმა გერმანელთა გარნიზონზე. პარტიზანებმა მოსპეს მტრის 70 ჯარისკაცი და ოფიცერი და დაანგრიეს კავშირგაბმულობის კვანძი. მეორე დღეს საბჭოთა პატრიოტებმა ააფეთქეს რკინიგზის ხიდი და ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი. დაიმსხვრა ორთქლმავალი და 22 ვაგონი სამხედრო მასალიანად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების არჩევისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სტალინურმა კონსტიტუციამ მთელი საბჭოთა სახელმწიფო სისტემის დემოკრატიული საფუძვლების თვალსაჩინოდ გაფართოებასა და განმტკიცებასთან ერთად გააფართოვა და განამტკიცა დემოკრატიული საფუძვლები საბჭოთა სასამართლოსიც, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდან სოციალისტური დემოკრატიზმის მკვიდრ საფუძვლებზე შენდებოდა და ყოველთვის გაცილებით უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოს სასამართლო.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის ვრცელს მანძილზე არც ერთს სხვა საზოგადოებას მართლმსაჯულება ისეთ სიმაღლეზე არ აუყვანია, რა სიმაღლეზედაც აიყვანა იგი საბჭოთა კანონმდებლობამ, საბჭოთა სახელმწიფომ.

არც ერთი საზოგადოების ხანგრძელ ისტორიას არ ახსოვს, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელ სასამართლოს ისეთი საპატიო ადგილი ჰქონებოდეს მიკუთვნებული, როგორიც მას მიაკუთვნა ჩვენმა კონსტიტუციამ საზოგადოებრივსა და სახელმწიფო ცხოვრებაში.

ჩვენს სასამართლო ორგანოებს დაკისრებული აქვთ ფრიად რთული, პასუხსაგები და საპატიო ამოცანები: ეს ამოცანები მოითხოვენ მათი მუშაობის ხარისხის მუდმივსა და შეუნელებელ გაუმჯობესებას.

სასამართლოს მუშაობა უნდა აკმაყოფილებდეს სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნებს, უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი დიდი სამშობლოს ინტერესებს, სამამულო ომის ამოცანებს, მტრის განადგურების მიზნებს.

სასამართლო მუდამ ფხიზლად უნდა იდგეს საბჭოთა ხალხის ბრძოლით მოპოვებულ გამარჯვებათა სადარაჯოზე, იცავდეს ხალხის შრომასა და შრომის ნაყოფს, მყუდროებას, უფლებებს, რომლებიც მან მოიპოვა სასტიკსა და ულმობელ ბრძოლებში კომუნისტური პარტიისა და ჩვენი ქვეყნის სწორუპოვარი ბელადის დიდი სტალინის ნაცადი ხელმძღვანელობით; სასამართლოს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ და, ხალხის თქმისა არ იყოს, „სამართლით მოჭრილი მკლავი არ მეტკინებაო“. ერთი სიტყვით, სასამართლო საბჭოთა კანონიერების თავგამოდებული დამცველი და მისი განხორციელებისათვის მედგარი მებრძოლი უნდა იყოს.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყველა სასამართლო, ყველა მოსამართლე არ მუშაობს ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი მართლმსაჯულების ინტერესები.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები სწორად არა სჭრიან სამართალს და თვითონვე არღვევენ კანონს. მთლად აღმოფხვრილი არ არის საქმის გადაჭრისა და გადაჭრილის შესრულების გაჭიანურება. ზოგჯერ სასამართლო ხელს ჰკიდებს საწარმოებლად ისეთ საქმეს, რომლის განხილვა საჭიროა ადმინისტრატიული, დისციპლინური თუ სხვა წესით.

ხანდახან ისედაც ხდება, რომ სასამართლო და გამოძიების ორგანოები სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ მოქალაქეებს შეუმოწმებელი მასალების მიხედვით.

ზოგიერთი სასამართლო საკმაოდ არ ებრძვის სოციალისტური საკუთრების მტაცებლებს და გაუსწორებელი გამფლანგველების წინააღმდეგაც კი მკაცრ ზომებს არ იღებს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლო სამხედრო მსახურის ოჯახის წევრთა ინტერესების სამართლიან დაცვას სათანადო ყურადღებით არ ეკიდება.

ცხადზე უცხადესია, რომ საბჭოთა სასამართლოს ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამშობლოს ერთგული, მომზადებული და პატიოსანი მუშაკების შერჩევას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო მთელი საქართველოს უმაღლესი სასამართლო ორგანოა. მის გამგებლობას ექვემდებარება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი საქმეები.

უმაღლეს სასამართლოს დაკისრებული აქვს რესპუბლიკის ყველა სასამართლო ორგანოს მოქმედების ზედამხედველობა, საჩივრებისა და პროტესტების განხილვა და სხვა და სხვა.

გასაგებია, რომ ამ ფართოდ მოხაზულ გამგებლობის სფეროსა და დიდ უფლებებს თან უნდა ახლდეს დიდი პასუხისმგებლობა და დიდი მოვალეობა.

გასაგებია ისიც, რომ უმაღლესი სასამართლოს მუშაკების მოქმედებასა, ყოფაქცევასა და სიტყვა-პასუხშიც კი სახელმწიფოსი და საზოგადოების უსასტიკესმა, მაგრამ პირუთვნელმა მსჯავრმა ერთი ხინჯიც კი ვერ უნდა აღმოაჩინოს—ისინი ნამდვილი ბოლშევიკები უნდა იყვნენ.

აქ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო ტრიბუნიდან, აშკარად და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის გასაგონად უნდა ითქვას, რომ უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთმა წევრმა ვერ გაამართლა ის უდიდესი ნდობა, რომელიც მათ მიმართ გამოიჩინეს პარტიამ, ხელისუფლებამ, საზოგადოებამ.

ეს ზოგიერთნი წევრნი ვერ აღმოჩნდნენ პრინციპულობის ჯეროვან სიმაღლეზე, მათ ვერ დაუმორჩილეს საზოგადოებრივსა და სახელმწიფო მოსაზრებას პირადი და წვრილმანი ინტერესები.

ვლადიმერ გერასიმეს-ძე მამალაძემ,

ვარლამ სიმონის-ძე ჯანელიძემ,

გალაქტიონ გრიგოლის-ძე გაგოშიძემ,

ივანე მიხეილის-ძე ბერბერაშვილმა წმინდად ვერ დაიცვეს უმაღლესი სასამართლოს წევრის საპატიო სახელი.

ზემონათქვამის გამო მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ განიხილოს ამ მუშაკების უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდან უკან გაწვევის საკითხი.

გარდა ამისა, უმაღლესი სასამართლოს 6 წევრი წითელ არმიაში იმყოფება, ხოლო 4 წევრი გადადის სხვა სამუშაოზე.

წითელ არმიაში იმყოფებიან:
ბოკუჩავა ნიკოლოზ იაკობის-ძე;
კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე;
კიკაჩეიშვილი ალექსანდრე პარმენის-ძე;
სამთელაძე ივანე ილარიონის-ძე;
ქაჯაია სერგი იასონის-ძე;
პაპასკირი ეფრემ სისოს-ძე;

სხვა სამუშაოზე გადადიან:
გეჯაძე ვლადიმერ იოსების-ძე;
ლომიძე მიხეილ ყარამანის-ძე;
გიორგაძე დავით ილიას-ძე;
ჭელიძე სერაპიონ ლუარსაბის-ძე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი და უმაღლესი სასამართლო შუამდგომლობენ, რათა ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები უმაღლესმა საბჭომ გაათავისუფლოს უმაღლესი სასამართლოს წევრობის მოვალეობისაგან.

თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, სიღნაღის, ტყიბულის, თელავის, ონის, ხაშურისა და ქუთაისის რაიონების დეპუტატების ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII სესიამ გამოიწვიოს უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდან:
მამალაძე ვლადიმერ გერასიმეს-ძე;
ჯანელიძე ვარლამ სიმონის-ძე;
გაგოშიძე გალაქტიონ გრიგოლის-ძე;
ბერბერაშვილი ივანე მიხეილის-ძე;

ხოლო:
ბოკუჩავა ნიკოლოზ იაკობის-ძე;
კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე;
კიკაჩეიშვილი ალექსანდრე პარმენის-ძე;
სამთელაძე ივანე ილარიონის-ძე;
ქაჯაია სერგი იასონის-ძე;
პაპასკირი ეფრემ სისოს-ძე;
გეჯაძე ვლადიმერ იოსების-ძე;
ლომიძე მიხეილ ყარამანის-ძე;
გიორგაძე დავით ილიას-ძე;
ჭელიძე სერაპიონ ლუარსაბის-ძე
გაათავისუფლოს უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

დეპუტატების იმავე ჯგუფის სახელით წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩეულ იქნან:
სიმონიშვილი ციცინო მიხეილის-ასული,
გიორგობიანი ვარლამ ზაქარიას-ძე,
ყუფარაძე პავლე პავლეს-ძე,
კაკალოვი სარქის მიხეილის-ძე,
რეხვიაშვილი ივანე შიოს-ძე,
ჯიქია აკაკი დიმიტრის-ძე.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ გეხსომებათ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ უმაღლესი სასამართლოს მსაჯულებად აირჩია 253 კაცი, ხოლო შემდეგ, ზოგიერთი რაიონის გაყოფისა, ახალი რაიონების შექმნისა და სახალხო მსაჯულების დატვირთვის გამო უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მსაჯულთა რაოდენობა 455 კაცამდე გაადიდა.

ამჟამად ეს რაოდენობა სრული აღარ არის, რადგან ზოგი მსაჯული წითელ არმიაშია გაწვეული, ზოგი სხვა ადგილასა და სხვა სამუშაოზე გადავიდა. საჭიროა გასულების ნაცვლად 71 ახალი სახალხო მსაჯულის არჩევა.

წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მსაჯულებად შემდეგი ამხანაგები ავირჩიოთ:

ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაიონიდან:
ბერიტაშვილი ქეთევან პეტრეს-ასული
თოხაძე ქეთევან იოსების-ასული
ტარასოვა ანტონინა ანდრიას-ასული
ფირაძე ქეთევან ლავრენტის-ასული
ცხომელიძე გიორგი სილოვანის-ძე
უთმელიძე მარიამ ნიკოლოზის-ასული.

სტალინის სახელობის რაიონიდან:
ბერიძე ევგენია ალექსანდრეს-ასული
პაგატილოვა ოლღა ექვთიმეს-ასული
ტერლეცკაია კლავდია ალექსანდრეს-ასული
ფიშმანი ეკატერინე გრიგოლის-ასული
შილოვა მარიამ ივანეს-ასული.

მოლოტოვის სახელობის რაიონიდან:
ალოევა ვერა იოსების-ასული
ბეჟუაშვილი თამარ აბრამის-ასული
დარიალაშვილი სოფიო პეტრეს-ასული
ოჰანეზოვა ელენე ილიას-ასული
ჩაგელიშვილი ტარასი ოტიას-ძე.

ლენინის სახელობის რაიონიდან:
ბარაბაძე ქსენია ვასილის-ასული
კვალიაშვილი თეკლე ბესარიონის-ასული
რაქვიაშვილი მარიამ ივანეს-ასული
ქისტაური მარიამ ივანეს-ასული
ჩაჩანიძე ვერა რაჟდენის-ასული.

ორჯონიკიძის სახელობის რაიონიდან:
ბურჭულაძე ვერა ალექსის-ასული
ზარიძე გიორგი მიხეილის-ძე
კუტუბიძე გრიგოლ ესეს-ძე
ხატიაშვილი თამარ სოლომონის-ასული
ჯაიანი ნინო ლევანის-ასული.

კიროვის სახელობის რაიონიდან:
აბრამაშვილი სალომე მარკოზის-ასული
ბახტაძე ლუდმილა რაჟდენის-ასული
მაცულინა ნინო ივანეს-ასული
ორჯონიკიძე თამარ ნიკოლოზის-ასული
სულთანოვა ტიგრანუი ტიგრანის-ასული.

26 კომისრის სახელობის რაიონიდან:
ასლამაზაშვილი ნინო მიხეილის-ასული
მესხი ალექსანდრა ვლადიმერის-ასული
მეიფარიანი ნადეჟდა ლევანის-ასული
მეტრეველი სერაფიონ ვასილის-ძე
მნაცაკანოვა ასია სტეფანეს-ასული.

ქ. ქუთაისიდან:
კვირკველია დიმიტრი ანტონის-ძე
ჩაფიძე ივანე გრიგოლის-ძე.

ქ. ფოთიდან:
წულაია ოლღა იოსების-ასული

გორის რაიონიდან:
ბადაშვილი მარიამ პეტრეს-ასული
ჯებისაშვილი ანა მიხეილის-ასული.

ხაშურის რაიონიდან
ბარბაქაძე ალექსანდრე ლუკას-ძე.

გურჯაანის რაიონიდან:
ძველიშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე.

სამტრედიის რაიონიდან:
ახობაძე ეკატერინე ივანეს-ასული
ტაბიძე ლუბა დავითის-ასული.

ბორჯომის რაიონიდან:
მაისურაძე ფოტინე სერგის-ასული
ცხადაძე მარიამ ბესარიონის-ასული.

ბორჩალოს რაიონიდან:
ბაირამოვი ჰუსეინ ალი მუსას-ძე
დარბინიანი აკოფ სტეფანეს-ძე.

გეგეჭკორის რაიონიდან:
ხაჟომია მარიამ ილარიონის-ასული.

ყაზბეგის რაიონიდან:
ქუშაშვილი სალომე ლევანის-ასული.

ყარაიის რაიონიდან:
ალიევა სოფიო ანტონის-ასული.

ქვემოსვანეთის რაიონიდან:
მუსელიანი თეიმურაზ ტარასის-ძე.

ქუთაისის რაიონიდან:
მარგველაშვილი იორამ პარმენის-ძე.

მცხეთის რაიონიდან:
იორდანიშვილი ნატალია მიხეილის-ასული.

ონის რაიონიდან:
ბერელიძე ქრისტეფორე სპირიდონის-ძე.
გუგეშაშვილი ექვთიმე ალექსის-ძე.

ორჯონიკიძის რაიონიდან (ყოფ. ხარაგოული)
კვინიკაძე აპოლონ თალხანის-ძე.

თიანეთის რაიონიდან:
თურქიაშვილი მართა ივანეს-ასული
შუშანაშვილი პარასკევა თედორეს-ასული.

ხობის რაიონიდან:
პერტაია სილოვან გაბრიელის-ძე
კუტალია გული გრიგოლის-ასული.

ცაგერის რაიონიდან:
ბაქრაძე მიხეილ მოსეს-ძე.

წყალტუბოს რაიონიდან:
ბზიკაძე შალვა გრიგოლის-ძე.

ადიგენის რაიონიდან:
ხაჯალია ოლღა სპირიდონის-ასული
ჰუსეინოვი შახმურად კაფლან-ოღლი.

ლაგოდეხის რაიონიდან:
ჯალიაშვილი მარიამ ზალიკოს-ასული.

ბოგდანოვკის რაიონიდან:
მალხასიანი არუსიაკ გევორქის-ასული.

კასპის რაიონიდან:
დალაქიშვილი სოფიო გიორგის-ასული.

ჩხარის რაიონიდან:
ჭანკვეტაძე დარია პარმენის-ასული.

ჩხოროწყუს რაიონიდან:
ლაგვილავა ვასილ საბას-ძე.

საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში საბჭოთა სასამართლომ თვალსაჩინო როლი შეასრულა. იგი ულმობლად ანადგურებდა ხალხის მტრებს — ჯაშუშებს, დივერსანტებს, სხვადასხვა ჯურის მავნებლებს, დაუნდობლად ებრძოდა ქურდებს, ბანდიტებს, ხულიგნებს და სხვა დამნაშავეებს, იგი ამავე დროს დიდ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა კანონების პატივისცემის გრძნობის განსავითარებლად, მათი მტკიცედ შესრულების აუცილებლობის შეგნების ჩასანერგავად.

საბჭოთა სასამართლომ უფრო მეტად უნდა განავითაროს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდან შექმნილი თავისი საუკეთესო ტრადიციები, მას ყოველთვის მაღლა უნდა ეჭიროს უმწიკვლო დროშა საბჭოთა მართლმსაჯულებისა და არც ერთ წუთს დაბლა არ უნდა დახაროს იგი. ახლა, როდესაც გმირული ბრძოლებითა და გამარჯვებით სახელმოხვეჭილი წითელი არმია მთელი მსოფლიოს განმაცვიფრებელ ბუმბერაზულ შეტევას აწარმოებს შარა გზის ყაჩაღების — გერმანიისა და მისი ყურმოჭრილი მონების თავით ფეხამდე შეიარაღებული არმიების წინააღმდეგ, როდესაც სტალინგრადის აჩრდილი თავს დასტრიალებს მტრის ურდოებს, კვალდაკვალ მისდევს მათ და შეუსვენებლად მიერეკება ჩვენი მიწა-წყლიდან თავშესაფარად უიმედო თავიანთი ბუნაგებისაკენ, როდესაც ჩვენი ქვემეხების ჭექა-ქუხილი უკვე სწვდება და თავზარდამცემ გრგვინვად ეფინება გერმანიისა და რუმინეთის საზღვრებს, — საბჭოთა სასამართლომ, ხალხის სასამართლომ თავისი საამაყო სახელწოდება კიდევ უფრო უმწიკვლოდ და შეუბღალავად უნდა ატაროს და ჩვენი საზოგადოების საზიანოდ გამოწვდილი ხელი ყოველი არაკეთილის მდომელისა მართლმსაჯულების ორპირად ალესილი მახვილით უნდა მოჰკვეთოს.

გამარჯვება და დღეგრძელობა საბჭოთა მართლმსაჯულების მფარველსა და სამართლიანობის განმსახიერებელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძენს ბელადსა და ჩვენი შეიარაღებული ძალების უზადლო მხედართმთავარს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში).**

ვაშა და დიდება ჩვენს საყვარელ სამშობლოს და შავბნელი ძალების საფრთხისაგან მთელი კაცობრიობის მხსნელს ჩვენს საამაყო წითელ არმიას! **(მქუხარე ტაში).**

მოქმედი არმია: გვარდიის ზემდეგ ვ. ფედორჩენკოს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდმა მაღლობისათვის ბრძოლებში მოსპო ერთი ტანკი, 8 სატყვიამფრქვევო წერტი, ავტომანქანა ტვირთიანად და ერთ ოცეულამდე ჰიტლერელი. **სურათზე:** გვარდიის ზემდეგ ფედორჩენკოს ქვემეხის გუნდი ჩასაფრებულია დასახლებულ პუნქტში.

ფოტო ი. ტოფჩანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

კამათი საქართველოს სსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. ა. გორჩაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტი ცხადად მეტყველებს ჩვენი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ძლიერების შეუჩერებელ ზრდაზე და იგი სავსებით დაქვემდებარებულია იმ ამოცანისადმი, რომ უსწრაფესად განადგურებულ იქნან ჰიტლერელი დამპყრობნი, რომელთაც მიზნად დაისახეს ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ხალხების დამონება.

ორ წელსა და რვა თვეზე მეტია, რაც საბჭოთა ხალხები განმათავისუფლებელ ომს ეწევიან კაციჭამია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურდა შეერყია ჩვენი ხალხების რკინისებური, სტალინური მეგობრობა და ჩვენს მიწა-წყალზე გაებატონებინა გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმი. მაგრამ ვერაგი მტრის ყველა ვარაუდი ჩაიშალა.

საბჭოთა ხალხის პირმშო გმირი წითელი არმია დიდი ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ანადგურებს ფაშისტთა ბანდებს და სწმენდს საბჭოთა მიწა-წყალს ვერაგი მტრისაგან. ჩვენი საბჭოთა სამშობლო მოიშუშებს ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს და სტალინური კონსტიტუციის დროშით გასწევს წინ, ნათელი და ბედნიერი მომავლისაკენ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სესიის წინაშე წარმოდგენილი 1940, 1941 და 1942 წლების ბიუჯეტის შესრულება და 1944 წლის ბიუჯეტის პროექტი ნათლად გვიჩვენებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ ზრდას, გვიჩვენებს იმას, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა აწყობილია ომის ყაიდაზე.

გასული წლების ბიუჯეტის შესრულება და 1944 წლის ბიუჯეტის პროექტი აშკარად მოწმობენ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა დაუღალავ შრომას და იმას, თუ რა დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს ბოლშევიკურმა პარტიამ და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ, რომელთა ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა მნიშვნელოვანი თავდაცვითი მეურნეობა.

საქართველოს მშრომელნი ამიერ-კავკასიის მოძმე ერებთან ერთად სალკლდესავით აღემართნენ მტერს კავკასიის მისადგომებზე. ჩვენმა ხალხმა დიდ რუს ხალხთან ერთად გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა გერმანელ დამპყრობთ.

ამიერ-კავკასიის მიწა-წყალი გადაურჩა მტრის მიერ შებილწვას, და ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდი სტალინის სიუკეთესო მოწაფეს და თანამებრძოლს, ქართველი ხალხის სამაყო შვილს ჩვენს ლავრენტი ბერიას. ამხანაგმა ბერიამ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ამიერ-კავკასიის ხალხები, მტკიცედ დარაზმა და გააერთიანა ისინი ვერაგ მტერთან შეუპოვარი ბრძოლებისათვის. ამხანაგმა ბერიამ ამიერ-კავკასიის მისადგომებზე სამაგალითოდ დარაზმა ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარები და დიდი მუშაობა გასწია მტრის განადგურების სტალინური გეგმის განსახორციელებლად.

სესიაზე წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც აახლოებს მტერზე გამარჯვებას.

ჩვენ სავსებით ვიწონებთ სესიაზე წარმოდგენილ 1944 წლის ბიუჯეტის პროექტს, რადგან ის მკაფიოდ ასახავს საქართველოს მშრომელთა ნებისყოფას და მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენას. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავაორკეცოთ მუშაობა, მთლიანად გამოვიყენოთ ყველა რესურსი და კიდევ უფრო ავაყვავოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა, გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება და ამით დავაჩქაროთ მტერზე გამარჯვება.

საქართველოს დედაქალაქ თბილისის მშრომელნი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად ყველაფერს აკეთებენ მტრის საბოლოო განადგურებისათვის.

ქალაქ თბილისის მშრომელნი ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით და ხალისით აწერდნენ ხელს სახელმწიფო სესხებზე. ეს ენთუზიაზმი სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა. სრული ნებაყოფლობის საფუძველზე თბილისის მშრომელებმა 1942 წელს სახელმწიფოს სესხად მისცეს 79 მილიონი მანეთი. 1943 წლის სამხედრო სესხზე ხელმოწერა უფრო მეტი წარმატებით ჩატარდა. 1943 წლის სახელმწიფო სესხი თბილისში გავრცელებულ იქნა 82 მილიონი მანეთის რაოდენობით. ქალაქ თბილისის მოსახლეობამ თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე თვითმფრინავების ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში. ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის თბილისის მშრომელებმა 17 მილიონ მანეთამდე შეიტანეს. ასევე დიდი წარმატებით ჩატარდა ქალაქში ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაცია. 1942 და 1943 წლებში თბილისის მოსახლეობაში გავრცელებულ იქნა 22 მილიონი მანეთის ლატარიის ბილეთები.

ეს ციფრები, ამხანაგო დეპუტატებო, ნათლად მეტყველებენ იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან თბილისის მშრომელნი ფრონტს, რა აქტიურ მონაწილეობას იღებენ წითელი არმიის ზურგის გამაგრების და მტერზე საბოლოო გამარჯვების დაჩქარების საქმეში. ქალაქმა თბილისმა მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად გარდაქმნა თავისი სახალხო მეურნეობა, დაუქვემდებარა იგი ომიანობის მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის ბიუჯეტი აშკარად ამტკიცებს ამ გარდაქმნას. ომის წლებში საგრძნობლად გაიზარდა შემოსავალი. ასე, მაგალითად, 1942 წელს შემოსავალი უდრიდა 105 მილიონ მანეთს, 1943 წელს—131 მილიონ მანეთს. 1944 წლისათვის გათვალისწინებულია შემოსავალი 158 მილიონი მანეთის რაოდენობით.

თუ 1944 წლის შემოსავალს ქალაქის 1942 წლის შემოსავალს შევადარებთ, დავინახავთ, რომ იგი გაზრდილია 46 პროცენტით.

ქალაქ თბილისის ბიუჯეტმა 1943 წელს ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების შედეგად რესპუბლიკურ ბიუჯეტს გადასცა 11,5 მილიონი მანეთი.

1944 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებულია 38 მილიონი მანეთის გადაცემა.

ქალაქის ბიუჯეტის ზრდისა და განმტკიცების შედეგად სახსრების დაბანდებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად, თუ სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე 1942 წელს 60 მილიონი მანეთი დაიხარჯა, 1943 წელს ამავე ღონისძიებებზე დახარჯულია 73 მილიონი მანეთი, ზრდა უდრის 22 პროცენტს. 1944 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ამავე ღონისძიებებზე დაიხარჯოს 85 მილიონი მანეთი, რაც 1942 წელთან შედარებით 43 პროცენტით ზრდას შეადგენს.

ქალაქის კეთილმოწყობაზე 1942 წელს დახარჯული იყო 9,5 მილიონი მანეთი, 1943 წელს—11 მილიონი მანეთი. 1944 წლისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს 13 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 1942 წელთან შედარებით ქალაქის კეთილმოწყობის ხაზით საჭირო ღონისძიებათა ჩატარებაზე 1944 წელს 32 პროცენტით მეტი დაიხარჯება.

ქალაქ თბილისის საბინაო მეურნეობის კაპიტალურ რემონტზე 1943 წელს დახარჯულია 5.120 ათასი მანეთი.

1944 წლისათვის ქალაქის საბინაო მეურნეობის კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებულია 10,5 მილიონი მანეთი.

მიმდინარე წელს კაპიტალურ მშენებლობაზე როგორც კომუნალური მეურნეობის, ისე სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხაზით გათვალისწინებულია 4,5 მილიონი მანეთი.

1943 წელს ბიუჯეტში შემოსავლის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ქალაქის ზოგიერთი კომუნალური საწარმო გასულ წელს სუსტად მუშაობდა და 1944 წელს ჯერ კიდევ განაგრძობს არადამაკმაყოფილებლად მუშაობას.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ქალაქის ტრამვაის მუშაობის მაჩვენებლები. 1943 წელს გათვალისწინებული შემოსავლის გეგმით ტრამვაიმ საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის მიზეზით ბიუჯეტს 677 ათასი მანეთი დააკლო. გეგმით ყოველდღიურად გათვალისწინებული 80 ვაგონის ნაცვლად ხაზზე საშუალოდ 60 ვაგონი მუშაობდა, რამაც გამოიწვია წლიური საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა. მიუხედავად ტრამვაის მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა, ტრამვაი მაინც დიდ მომსახურებას უწევდა ქალაქის სამხედრო ჰოსპიტლებს დაჭრილ მებრძოლთა გადაყვანის საქმეში, აგრეთვე საწარმოებს—ტვირთის გადაზიდვაში.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ელექტროქსელისა და წყალსადენის ტრესტებმა 1943 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო ქალაქის წყალსადენს მოემატა ორი ახალი ნაგებობა ორთაჭალისა და ავჭალის წყალსადენების სახით, რამაც წყლის დებიტი საგრძნობლად გაზარდა, თბილისის ელექტროცენტრალმა კი გადაჭარბებით შეასრულა ელექტროდენის გამომუშავების წლიური გეგმა, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტრესტები დღემდე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ქალაქის მოსახლეობისა და წარმოებათა მზარდ მოთხოვნილებებს.

ამხანაგო დეპუტატებო! ქალაქ თბილისის ადგილობრივი მრეწველობის მუშაობას ომიანობის ხანაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. სამამულო ომის პერიოდში ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ჩამოყალიბებულ იქნა კიდევ სამი ახალი წარმოება. ამჟამად ქალაქ თბილისის ადგილობრივ მრეწველობას აქვს 18 სხვადასხვა სახის წარმოება, რომელთა შორის 3 წარმოება ომის პერიოდში გადაყვანილია ფრონტისათვის სამხედრო შეკვეთების დამზადებაზე.

1943 წლის საწარმოო გეგმა ქალაქის ადგილობრივმა მრეწველობამ 107,8 პროცენტით შეასრულა. გეგმების შესრულებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ იმ საწარმოებს, რომელნიც მუშაობენ სამხედრო შეკვეთების ხაზით. ასეთებია, მაგალითად, მექანიზებული ქარხანა № 1, კუიბიშევის სახელობის ქარხანა, სატრიკოტაჟო-საგალანტერიო წარმოების ფაბრიკა და სხვ.

მიუხედავად წლიური საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა, ადგილობრივი მრეწველობის საშენ მასალათა საწარმოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ და გეგმებს ვერ ასრულებენ. მაგალითად, 1943 წელს გამოშვებული უნდა ყოფილიყო 5.100 ათასი ცალი აგური, ფაქტიურად გამოშვებულ იქნა 2.500 ათასი ცალი.

მიმდინარე წელს გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის მუშაობა და მივაღწიოთ იმას, რომ საშენი მასალით დავაკმაყოფილოთ ქალაქის მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილებანი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1944 წლის ბიუჯეტი გამოხატავს ჩვენი რესპუბლიკის შეუჩერებელ ზრდას, ფრონტისა და ზურგის ურყევ და მტკიცე კავშირს და ჩვენი ხალხის ერთიანობას.

წითელი არმია მედგარ ბრძოლას აწარმოებს მტრის წინააღმდეგ, შეუპოვრად სწმენდს ჩვენს მიწა-წყალს ფაშისტური სიბილწისაგან და შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ჩვენი ხალხები იზეიმებენ საბოლოო გამარჯვებას მტერზე. მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოდის, იგი მოპოვებულ უნდა იქნას ბრძოლით და შრომით, ასე გვასწავლის ჩვენ დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამიტომ, ამხანაგო დეპუტატებო, უნდა დავძაბოთ ჩვენი ენერგია, მთელი ძალ-ღონე, რათა მივაღწიოთ მტრის საბოლოო განადგურებას. გამარჯვებისათვის გავაკეთოთ ყველაფერი, გამოვიყენოთ ყველა რესურსები და საშუალებანი და ამით უფრო განვამტკიცოთ ფრონტი და ზურგი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ღირსეულად გავართვათ თავი ომიანობის დროის ამოცანებს და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ კ. დ. ერისთავის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს VII სესია შეიკრიბა იმ პერიოდში, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მუსრს ავლებენ ფაშისტ დამპყრობლებს და ყოველდღიურად ათავისუფლებენ ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებს, წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს.

მალე უკვე სამი წელი შესრულდება, რაც ჩვენი ქვეყანა გმირულ ბრძოლას აწარმოებს ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ, და ისტორიაში არნახული ბრძოლების მასშტაბის მიუხედავად, ომის მესამე წელიწადს საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო ორგანიზებული და განმტკიცებულია.

ყოველივე ეს შედეგია საბჭოთა კავშირის ხალხების სტალინური ერთიანობისა, სტალინის გენიალური შორსმჭვრეტელობისა და ხელმძღვანელობისა.

ბიუჯეტი, რომელსაც ჩვენ აქ ვიხილავთ, წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და საქმიანობის სარკეს. იგი მთლიანად მიმართულია სოციალისტური სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობისაკენ.

ბიუჯეტში ნათლად არის გამოხატული სტალინური მზრუნველობა ჯანმრთელობის, განათლების და კულტურის სხვა დარგებზეც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტის პროექტით კულტურის დარგზე ასიგნებულია 911.592 ათასი მანეთი, რაც დიდ ნაბიჯს წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს კულტურის შემდგომი გაფურჩქვნისა და აყვავების საქმეში.

დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით უდიდესი ამოცანა აქვთ დაკისრებული ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს. საჭიროა მოვამზადოთ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები როგორც თავდაცვის საჭიროებისათვის, ისე ჩვენი მრავალფეროვანი საქმიანობის სხვადასხვა უბანზე სამუშაოდ. უნდა მოვამზადოთ სპეციალისტები, რომლებიც თავისი ცოდნით და თავდადებული მუშაობით ხელს შეუწყობენ ფაშისტი ბარბაროსებისაგან განთავისუფლებული რაიონების ყოველმხრივ აყვავებას და კვლავ გაფურჩქნულ ბაღნარად აქცევს.

საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომმა განმტკიცებამ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად განხორციელებამ, მოკავშირე რესპუბლიკებს ყოველმხრივმა ზრდა-განმტკიცებამ ნიადაგი შეუქმნა მოკავშირე რესპუბლიკების საქმიანობისა და უფლებების გაღრმავება-გაფართოებას. ეს გარემოება აუცილებელს ხდის ინტელიგენციის ახალი კადრების მომზადებას და ამ საქმისადმი სტალინური მზრუნველობით მოპყრობას.

თბილისში არსებულ ოთხ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში (სამედიცინო, სტომატოლოგიურ და ფარმაკო-ქიმიურ ინსტიტუტებში) ამჟამად სწავლობს სულ [illegible] სტუდენტი, აქედან სამედიცინო ინსტიტუტში — 3.281 სტუდენტი, სტომატოლოგიურში — 850 და ფარმაკო-ქიმიურში — 378. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა ომის პერიოდში 2.500 ექიმი და 2.000 კაცი საშუალო მედპერსონალი მოამზადა და მისცა სამშობლოს.

ხსენებულმა ინსტიტუტებმა სამამულო ომის პირველ დღიდანვე ომიანობის დროის შესაფერისად გარდაქმნეს მუშაობა და მთელი თავის საქმიანობა დაუქვემდებარეს ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების საქმეს.

მარტო სამედიცინო ინსტიტუტმა ომის პერიოდში 2.116 სპეციალისტი გამოუშვა, სტომატოლოგიურმა — 487 და ფარმაკო-ქიმიურმა — 283.

ამ ინსტიტუტებში კურსდამთავრებულ, აგრეთვე ამავე ინსტიტუტების კათედრებიდან და კლინიკებიდან ფრონტზე მყოფი ან ევაკოჰოსპიტლებში მომუშავე ამხანაგების საკმაოდ დიდმა ნაწილმა სახელი გაითქვა და საქმით დაამტკიცა საბჭოთა კავშირისადმი, ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, რისთვისაც მათ მთავრობის ჯილდოებიც აქვთ მიღებული, ამათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სტალინგრადის ეპოპეის მონაწილე გვარდიელი ექიმი კლარა ხოშოლავა, სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილე სამჯერ დაჯილდოებული ექიმი რაქვიაშვილი, ამხანაგები ქურციკიძე, ი. მენთეშაშვილი, დ. მამამთავრიშვილი, მ. კომახიძე, დიხამინჯია, პ. ჩუბინიძე, კ. ლიკლიკაძე, მ. ბუთხუზი, შ. ქორიძე, ჭყონია, კონჯარია, კვერენჩხილაძე, ახალაძე, ბოდოკია, ბერია, ა. ლონლაძე, გრ. ლოლობერიძე, ნანეიშვილი, ვასო ქურდოვანიძე, თოიძე, რ. ღირდალაძე, ბ. გვეტაძე, დავითაია, რატიშვილი, ტ. გაბადაძე, თ. ნოდია, ა. მატესოვი, რ. ღვინიაშვილი, ი. ფანჩულიძე, რ. ქორიძე და მრავალი სხვა.

ჩვენი სამედიცინო პერსონალის თავდადებული შრომის და მაღალკვალიფიციური მომზადების შედეგია ის გარემოება, რომ ევაკოჰოსპიტლები ფრონტს უბრუნებენ დაჭრილი მეომრების ისეთ პროცენტს, რომელიც პირველ იმპერიალისტურ ომისდროინდელ მაჩვენებლებს ერთიორად აღემატება. ამ მხრივ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ახალი კადრების, ახალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმისადმი. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მიმდინარე სასწავლო წლის ზამთრის საგამოცდო სესიების შედეგები.

სესიამ განსაკუთრებით მაღალ დონეზე ჩაიარა და სტუდენტების მასამ კარგი აკადემიური მაჩვენებლები მოგვცა.

ხსენებულ ინსტიტუტებში მიმდინარეობს გაცხოველებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ფარმაკო-ქიმიურმა ინსტიტუტმა დაამუშავა 181 სამეცნიერო შრომა. ჩატარებულ სამეცნიერო გამოკვლევათა შედეგად ათვისებულია მთელი რიგი ახალი პრეპარატები, რომლებიც მზადდება ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით. ომის განმავლობაში მომზადდა 35 ახალი პრეპარატი.

სტომატოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების მიერ შესრულებულია 38 თავდაცვითი სამეცნიერო შრომა.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მიერ გეგმით გათვალისწინებული 49 თემის მაგიერ შესრულებულია 63 სამეცნიერო შრომა, გამოშვებულია 6 მონოგრაფია.

მარტო ომის განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტის კათედრებსა და კლინიკებში შესრულებულია 360-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომელთაგან ორი გამოკვლევა წარდგენილია სტალინური პრემიის მოსაპოვებლად.

შესრულებულ შრომათა დიდი ნაწილი თავდაცვითი ხასიათისაა ანდა ზურგის სანიტარული კეთილდღეობის განმტკიცებას ემსახურება.

სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის მიერ შესრულებული შრომები თითქმის ყველა თავდაცვითი ხასიათისაა. მათ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ.

თემების ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანს, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი სამეცნიერო მუშაკები თავდადებულად მუშაობენ კვლევის დარგში და თავისი წარმატებებით დიდ სამსახურს უწევენ სანიტარული თავდაცვისა და ზურგის სანიტარული კეთილდღეობის საქმეს.

აქტუალური სანიტარულ-თავდაცვითი საკითხების დამუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს საექიმო საზოგადოება.

საექიმო საზოგადოება პერიოდულად იწვევს სპეციალურ სამეცნიერო კონფერენციებს, სადაც იხილება მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და პრაქტიკულ-სამეცნიერო საკითხები.

საქართველოს მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი დიდ დახმარებას უწევს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დარგის მუშაობის გარდაქმნის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ამასთან ერთად მთელმა რიგმა კათედრებმა ომის განმავლობაში შესძლეს სტუდენტების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით.

ამჟამად გამოცემული და გამოსაცემად გამზადებულია 30-ზე მეტი სახელმძღვანელო.

სამედიცინო ინსტიტუტი დიდ ყურადღებას აქცევს მედმუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგად სამამულო ომის პერიოდში საკანდიდატო მინიმუმი ჩააბარა 15 ამხანაგმა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დაცულ იქნა 62 დისერტაცია, აქედან 21 სადოქტორო და 41 საკანდიდატო.

კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შესრულებულია 5 სადისერტაციო შრომა.

სამამულო ომის დღეებში სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკური კათედრები დიდ ყურადღებას აქცევდნენ საშუალო მედპერსონალის მომზადება-გადამზადების საქმეს. ასე, მაგალითად, მარტო ფაკულტეტური ქირურგიის კლინიკის მიერ მომზადებული და გადამზადებულია 200-მდე კაცი საშუალო მედპერსონალი.

სამედიცინო ინსტიტუტის კვალიფიციური მეცნიერ მუშაკების მიერ თბილისსა და სხვადასხვა რაიონებში ჩატარებულია ლექციები და საუბრები გრიპის, პარტახტიანი ტიფის და სხვა ინფექციური სნეულებების, ბავშვთა სნეულებების, პირველი დახმარების, პირადი ჰიგიენის დაცვისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

სოფლის საექიმო უბნებზე მიმაგრებული არიან კვალიფიციური მეცნიერ მუშაკები მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი დახმარების გასაწევად.

ამასთან ერთად კლინიკებიდან გაგზავნილ იქნენ ექიმები როგორც თბილისში, ისე რაიონებში ადგილობრივ პრაქტიკულ-საექიმო და პროფილაქტიკური მუშაობის ჩასატარებლად. ამ ხასიათის სამუშაოზე მარტო 1944 წლის გაზაფხულზე გაგზავნილია 120 ექიმი.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ, ჩატარებული მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ინფექციის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა და სამედიცინო ინსტიტუტებმა ეს ამოცანაც უნდა გადაჭრან ისე, როგორც ამას ჩვენგან დღევანდელი მომენტი მოითხოვს.

უნდა აღიარებულ იქნას, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა და სამედიცინო ინსტიტუტმა ჩვენს რაიონებში და გერმანელი ბარბაროსებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში ექიმების გაგზავნა ასი პროცენტით ვერ შეასრულეს.

მიუხედავად ყველა იმ მიღწევისა, რაც ჩვენს ინსტიტუტებს აქვთ, უნდა ითქვას, რომ როგორც დისციპლინა, ისე აკადემიური წარმატებულობა ისეთ დონეზე ვერ დგას, როგორიც ორდენოსან საქართველოს შეეფერება. თუ ჩვენ ახლა თვალსაჩინო ადგილი გვიჭირავს საკავშირო ინსტიტუტთა შორის, პარტიისა და ხელისუფლების იმ მზრუნველობის შედეგად, რომელიც ჩვენ გვაქვს—პირველ ადგილზე უნდა ვიყოთ.

სამედიცინო ინსტიტუტმა ომის განმავლობაში რამდენჯერმე გაუგზავნა ჩვენ გმირ მებრძოლებს სხვადასხვა საჩუქრები და თბილი ტანსაცმელი. სისტემატურად ეწევა დახმარება მებრძოლთა ოჯახებს.

ვერაგი მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში საექიმო დაწესებულებებსა და სამედიცინო ინსტიტუტებში გაგზავნილია სხვადასხვა ხელსაწყოები, მედიკამენტები, ლიტერატურა და სხვ. არ დარჩენილა კათედრა, რომელსაც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს ამ პატრიოტულ საქმეში.

სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა დაუღალავად მუშაობენ სამხედრო საქმის დასაუფლებლად.

ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს კარგად ესმით, რომ ჩვენს მუშაობაში გზის მანათობელ ლამპარს წარმოადგენს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრება. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით წელს სამედიცინო ინსტიტუტში მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა.

სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრა დიდ მუშაობას ეწევიან პროფესორ-მასწავლებლებს შორის იდეურ-პოლიტიკური დონის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად. ჩატარებულმა მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად მუშაობენ მარქსისტულ - ლენინური თეორიის დასაუფლებლად; ბევრმა მათგანმა საფუძვლიანად შეისწავლა ამხანაგ სტალინის შრომა სამამულო ომის შესახებ. ამ წიგნის ირგვლივ ჩატარებულმა თეორიულმა საუბრებმა ზოგადი ქირურგიის ფაკულტატიური თერაპიის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის და სხვა კათედრებზე ნათელჰყვეს, რომ ამხანაგები მეტად სერიოზულად ეკიდებიან თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეს და საფუძვლიანად სწავლობენ დიდი სტალინის გენიალურ ნაშრომს.

მთელ საექიმო საზოგადოებრიობას და ჩვენი ინსტიტუტების კოლექტივს კარგად ვესმის, რომ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, მეტად მცირეა იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ გვიკარნახებს დღევანდელი მომენტი და საქართველოს კულტურის ამყვავებელი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. მაგრამ მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ჩვენ ვცდილობთ საქმით ვუპასუხოთ ჩვენი წითელი არმიის, ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებებს და გავაკეთოთ კიდევ უფრო მეტი.

კერძოდ, სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საქმით მოიპოვოს უფლება,—დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მიერ ვერაგი მტრის საბოლოო განადგურების ჟამს სთქვას, რომ მანაც მცირედი წვლილი შეიტანა გამარჯვების საქმეში.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს საქართველოს ამყვავებელს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, საბჭოთა კავშირის მარშალს დიდ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ დ. ა. დავითაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია მიმდინარეობს ისტორიულ დღეებში, როდესაც ჩვენი სახელოვანი გმირი წითელი არმია, უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ძლევამოსილ შეტევას ეწევა და სასტიკ დამარცხებებს აყენებს ჰიტლერელ დამპყრობლებს. წითელი არმიის მძლავრი დარტყმებით ზანზარებს ჰიტლერული სამხედრო მანქანა. მტრის მიერ საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე ჩადენილ დანაშაულთათვის სამაგიეროს მიზღვევის ჟამი ახლოვდება. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა წითელი არმიის სასარგებლოდ. ჩვენმა ქვეყანამ გაშალა თავისი მძლავრი რეზერვები, ყველაფერი დაუმორჩილა გერმანელ ოკუპანტთა უსწრაფესი განადგურების ინტერესებს. წითელი არმიის ამ ბრწყინვალე გამარჯვებათა მნიშვნელობა ახალი ძალით გვევლინება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული კანონების სახით, რომლებმაც ცხადჰყვეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესია ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავთაგანი. სესიის მიერ მიღებული კანონები ცხადჰყოფენ სტალინურ მზრუნველობას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ეს სახელმწიფოებრივი გარდაქმნანი ასახავენ მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ზრდას, ისინი წარმოადგენენ მთლიანად ჩვენი საერთო-საკავშირო სახელმწიფოს განმტკიცების შედეგს.

ჩვენი გმირი წითელი არმია ძლევამოსილად მიიწევს წინ დასავლეთისაკენ, სპობს და ანადგურებს ჩვენს სამშობლოში შემოჭრილ ჰიტლერელ ბანდიტებს და ათავისუფლებს წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს ფაშისტური სიბილწისაგან. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის სხვა გმირი ხალხების მხარდამხარ იბრძვიან, თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად ქართველი ხალხის შვილები.

საბჭოთა კავშირის გმირ უმცროს ლეიტენანტ ისრაფილ ჯინჭარაძის საბრძოლო თვითმფრინავი ყველგან რისხვად ევლინებოდა მტერს. მან მოახდინა 92 საბრძოლო გაფრენა, პირადად მოსპო და დაზიანა მტრის 82 ავტომანქანა, 27 ტანკი, 7 თვითმფრინავი. მის მიერ მოსპობილია მტრის 880 ჯარისკაცი და ოფიცერი. ასევე გმირულად იბრძვიან: პოდპოლკოვნიკი ასლან ბაჟელიძე, რომელიც დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენით, ორგზის ორდენოსანი პოდპოლკოვნიკი ხუსეინ ბეჟანიძე, ორდენოსანი ექიმი ავნი დიასამიძე, პარტიზანი ხასან ჯაფარიძე, რომელიც დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ამავე დროს საბჭოთა ხალხი ზურგში თავდადებული შრომით აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ფრონტს, წითელ არმიას მტრის საბოლოო განადგურებაში.

მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, აჭარის სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს დაწესებულ გეგმებს.

აჭარა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს უძვირფასესი სუბტროპიკული კულტურების და ბაღების კუთხეს. აჭარის სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: 1943 წელს დამზადებულ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 294 მილიონ 340 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ანუ 152 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე 1942 წელს. 1943 წელს მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 11 მილიონ 871 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ 1 მილიონ 372 ათასი კილოგრამით მეტი 1940 წელთან შედარებით. ასევე წარმატებით სრულდება მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა. 1943 წელს მსხვილფეხა საქონლის გეგმა 101,4 პროცენტით შესრულდა, წვრილფეხა საქონლისა — 101,6 პროცენტით, ხოლო ცხენებისა 108 პროცენტით. გაიზარდა სათესი ფართობიც.

ასეთი აღმავლობა სოფლის მეურნეობაში, ისიც სამამულო ომის ძნელ პირობებში, შეიძლო უზრუნველეყო მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილებას ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

ომის წინათ საქართველოს მოწინავე კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მთავრობის მაღალი ჯილდოები მიიღეს. დაჯილდოებულთა შორის არიან აჭარის სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანებიც — 38 კაცი.

სამამულო ომის წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აჭარის ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობამაც, რომელმაც 1943 წელს გამოუშვა საგასაცემო ფასებში 39 მილიონ 841 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რაც 1942 წელთან შედარებით 10,5 მილიონი მანეთით მეტია.

სერიოზული წარმატებები მოიპოვეს აჭარის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებმა, რომლებმაც თავიანთი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნეს და იგი ფრონტის ინტერესებს დაუმორჩილეს.

ამხანაგო დეპუტატებო! აჭარაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ წითელი არმიის მებრძოლთა და ოფიცერთა ოჯახებისათვის.

ეს ზრუნვა მკაფიოდ არის გამოხატული იმ ღონისძიებებში, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო ატარებს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად.

დიდი სამამულო ომის განმავლობაში აჭარაში სახელმწიფო დახმარებისა და პენსიების სახით გაცემულია 18 მილიონ მანეთზე მეტი თანხა, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს შორის განაწილებულია 1.314 ათასი მანეთის სამრეწველო და 1.220 ათასი მანეთის სასურსათო საქონელი. მარტო 1943 წლის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებმა 7.936 წყვილი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი მიიღეს.

ამხანაგო დეპუტატებო! სამამულო ომმა სახელმწიფო ბიუჯეტის ძირფესვიანი გარდაქმნა მოითხოვა. საჭირო გახდა უდიდეს დაბანდებათა გაწევა თავდაცვითი მრეწველობაში, რათა ჩვენი გმირი წითელი არმია უზრუნველგვეყო მისთვის აუცილებელი თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით, საჭურვლით, ტანსაცმლით, სურსათით. ჩვენი ქვეყანა ომობდა და აშენებდა. ამასთან დაკავშირებით, მშვიდობიანი დროისაგან განსხვავებით, ახალი, გაზრდილი მოთხოვნები წარედგინა ბიუჯეტსაც.

ომიანობის წლებში აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სახელმწიფო ბიუჯეტის ახალი საშემოსავლო წყაროების გამოსანახავად და გასადიდებლად. მაგალითად, საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი, რაც აჭარაში 1943 წელს შეადგენს 214 მილიონ 647 ათას 600 მანეთს, აღემატება 1942 წლის შემოსავალს 12 მილიონ 800 ათასზე მეტი მანეთით.

ასევე მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი. 1943 წელს აჭარაში შემოსული თანხა 27 მილიონ 61 ათას 500 მანეთს უდრის, რაც 1942 წელს შემოსულ თანხას 5 მილიონ 317 ათასი მანეთით აღემატება.

შემოსავლის თანხების ანალოგიურ ზრდას საკავშირო და საქართველოს ბიუჯეტებში ადგილი აქვს წინა წლებშიც.

საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმმა და წყურვილმა — უსწრაფესად გაანადგუროს გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები — თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ომიანობის წლებში სახელმწიფო სესხებისა და ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების წარმატებით გავრცელებისა და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის ფონდისათვის, სატანკო კოლონებისა და ავიაესკადრილიების მშენებლობისათვის სახსრების შეგროვებაში.

1943 წელს აჭარაში გავრცელებულ იქნა მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის 23.743 ათასი მანეთის ობლიგაციები, ნაცვლად 1940 წელს გავრცელებული 7.189 ათასი მანეთის ობლიგაციებისა.

აგრეთვე გავრცელებულ იქნა სამამულო ომის პერიოდში გამოშვებული ფულისა და ნივთების ლატარიის 11.176 ათასი მანეთის ბილეთები.

ხოლო თავდაცვის ფონდისათვის, სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ და ავიაესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ აგების ფონდებისათვის მოსახლეობისაგან ნებაყოფლობით შემოსულმა თანხებმა შეადგინა ფულად 27.271 ათას 300 მანეთი და სახელმწიფო სესხების ობლიგაციების სახით 9.516 ათასი მანეთი. გარდა ამისა, შემოვიდა სხვადასხვა ძვირფასი ნივთები.

წითელი არმიისათვის შეგროვებულ და ჩაბარებულ იქნა სულ 90.900 ცალი თბილი ნივთები.

ასევე აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიურმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ სამამულო ომის წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის საქმეში.

აჭარის რესპუბლიკის 1941, 1942 და 1943 წლების ბიუჯეტები შესრულებულ იქნა ისე, რომ შემოსავალმა მნიშვნელოვნად გადაამეტა გასავალს. ამავე დროს შემცირებულ იქნა ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის შტატი 102 ერთეულით, ხარჯები კი —425 ათასი მანეთით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტი მკაფიოდ ასახავს იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ომიანობის პირობებში. ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს ყველა ღონისძიებას იმისათვის, რომ საქართველოს მშრომელებმა, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად წარმატებით შეუწყონ ხელი ჩვენს სახელოვან წითელ არმიას გერმანელ ფაშისტთა საბოლოო განადგურების საქმეში.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებას ჩვენი სამშობლოს თავდაცვის საჭიროებისათვის 128 მილიარდ 449 მილიონ 60 ათასი მანეთის გაღების შესახებ.

საკავშირო და საქართველოს სს რესპუბლიკის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად იზრდება აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტიც. აჭარის რესპუბლიკის ბიუჯეტის ზრდაში, ისევე როგორც მისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდაში გამოხატულია ის განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა, რასაც ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკების მიმართ იჩენენ.

აჭარის ასს რესპუბლიკის 1944 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილია დასამტკიცებლად 53 მილიონ 648 ათას 500 მანეთის ოდენობით. ამ თანხიდან განათლების ღონისძიებებზე დაიხარჯება 28.219,6 ათასი მანეთი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე — 15.217,2 ათასი მანეთი. სულ ბიუჯეტის 80 პროცენტზე მეტი მოხმარდება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, ხოლო დანარჩენი თანხა დაიხარჯება 1944 წლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსებასა და სამმართველო ხარჯებზე.

წინადადება შემომაქვს დამტკიცებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამ სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი 1944 წლის ბიუჯეტი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გამოხატავს ჩვენი სახელმწიფოს ზრდასა და ძლიერებას, ზურგისა და ფრონტის ერთიანობას, საბჭოთა კავშირის ხალხთა ნებისყოფას მტერზე გამარჯვებისადმი. აჭარის მშრომელები, საქართველოს მშრომელებთან ერთად, კიდევ უფრო მეტი ენერგიით, თავდადებულად იმუშავებენ იმისათვის, რომ 1944 წელი გახდეს გერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურების წელი. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა დიდი ბელადის, უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გმირი წითელი არმია გაათავისუფლებს ჩვენს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს გერმანელი მტარვალებისაგან.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

გადაჭრით გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო მინდვრების დამუშავების ხარისხი

მეტი ყურადღება ხვნის ხარისხს

წულუკიძე („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში ენერგიულად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. რაიონში გეგმით მარცვლეული კულტურები უნდა დაითესოს 7.570 ჰექტარზე, კოლმეურნეობები წელს აითესებენ სულ მცირე 150 ჰექტარ ყამირ მიწას. 10 მარტისათვის რაიონში მოხნული იყო 2.393 ჰექტარი. სოფ. ქუტირის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ა. ლომიძე) კოლმეურნეთა საზამთრო აგროტექნიკური სწავლება წარმატებით დაამთავრეს. სწავლებამ ხელი შეუწყო შრომის ორგანიზაციის შემდგომ განმტკიცებას. 96 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან საკოლმეურნეო ფართობზე სამუშაოდ ყოველდღიურად გადის 88-92 კოლმეურნე. საკოლმეურნეო შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევიან წითელფრონტელის ცოლი ნინო ლვინერია, შურა რუხაძე, 5 წითელარმიელის მამა მოწინავე ბრიგადირი ალ. ნიკურაძე, თითოეული მათგანი ხვნის დღიურ ნორმას 140-170 პროცენტით ასრულებს. კოლმეურნეობამ გეგმით მიცემული 198 ჰექტარიდან მარტო მუშა-პირუტყვით მოხნა 135 ჰექტარი, აქედან 3 ჰექტარი ყამირი მიწა. საგაზაფხულო თესვისათვის ნაყოფიერად ემზადებიან ქ. წულუკიძის ჟდანოვის სახელობის (თავმჯდომარე რ. ბახტაძე), ქ. წულუკიძის მახარაძის და კალინინის სახელობის, სოფ. პატარა ჯიხაიშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები პ. მაისურაძე, ვ. ტყაბლაძე, შ. მიქაძე).

მტს-ი (დირექტორი ამხ. ნ. ხვიჩია) კოლმეურნეობებს კარგ მომსახურებას უწევს. მან გეგმით მიცემული 1.500 ჰექტარიდან მოხნა 1.060 ჰექტარი. კარგად მუშაობენ ტრაქტორისტები ლიუდმილა ბარაბაძე, ნინო ფარცხალაძე, ალიოშა გორდაძე, ვალიკო ქათამაძე და სხვ.

თესვისათვის მზადებაში არის ნაკლოვანებებიც. სოფ. ივანდიდის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. სიმონიძე) ბრიგადები და რგოლები ჯერ კიდევ მთლიანად დაკომპლექტებული არ არიან, ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას. 6 მარტს 100-ზე მეტი კოლმეურნიდან საკოლმეურნეო მინდორზე მუშაობდა მხოლოდ 47 კოლმეურნე. აქ მოზარდები ბევრია, მაგრამ მათთვის სამუშაოს მიცემაზე არ ზრუნავენ. სამუშაოს ხშირად აცდენენ ლიზა ქუთათელაძე, ივლიანე ტაბიძე და სხვ., სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი ჯერაც არ დაუმთავრებიათ, 16 გუთნიდან შეაკეთეს 9, 13 კულტივატორიდან—10. ცოცხალ გამწევ ძალას სრული დატვირთვით არ იყენებენ. ამის გამო ხვნის ტემპები დაბალია.

ხვნის საქმეში ჩამორჩება ქ. წულუკიძის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ მოხნული მიწის ნაწილი უხარისხოა. მუშა-პირუტყვს ცუდად უვლიან, საყანე ფართობები ჩალის ღეროებისაგან არ არის გაწმენდილი.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მდინარე ცხენისწყალის გამოყენებას ფართობების მოსაშლამავად. მოსავლის გადიდების ეს შესანიშნავი ღონისძიება ყველგან არ არის გამოყენებული. ეს ითქმის ქ. წულუკიძის სოფ. ქუტირის და გოჩა ჯიხაიშის ზოგიერთ კოლმეურნეობაზე. ნაკვეთების მოშლამვის საქმეს აშკარა უყურადღებობით ეკიდება წულუკიძის წყალთა რაიონის უფროსი ამხ. მელქაძე; მან დღემდე ვერ უზრუნველჰყო ყველა სარწყავი არხის წესრიგში მოყვანა და ცხენისწყალის დაუბრკოლებლივ მიშვება საყანე ფართობებზე.

ქ. ცაცუა

გავაძლიეროთ ხვნის ტემპები

ხობი („კომუნისტის" საკ. კორ.). სამამულო ომის ფრონტებზე ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევით და დიდი სტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიული ბრძანებით აღფრთოვანებულნი რაიონის კოლმეურნეები მეომრული ტემპებით აჩაღებენ მუშაობას საგაზაფხულო თესვისათვის. 10 მარტისათვის რაიონში მოხნულია 2.335,8 ჰექტარი, ორჯერ მეტი, ვიდრე 1943 წლის 10 მარტისათვის.

სოფ. პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე მედალოსანი მ. ნადარაია) მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი მ. ხასია) და მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. ნადარაია) 10 მარტისათვის დაამთავრეს პირველი ხვნა.

სოფ. ქვემო-ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. შ. ჰოჭუა) 1943 წელს უხვი მოსავალი მიიღო. შრომადღეზე 8 კილოგრამი სიმინდი გაანაწილა. 1944 წლისათვის შრომადღეზე მათ აქ 12 კილოგრამი სიმინდის განაწილება იკისრეს. ამ ვალდებულებების განხორციელებისათვის წარმატებით იბრძვიან. დადგა თუ არა მზიანი ამინდები, ბრიგადები და რგოლები უკლებლივ გავიდნენ მინდვრად, გაჩაღდა პირველი ხვნა. კარგად მიმდინარეობს პირველი ხვნა სოფ. ხამისკურის ბაქრაძის სახელობის, ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში და სოფ. პირველი ხორგის კოლმეურნეობა „წითელ მეურნეში".

კარგად მოიქცა ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. კოდუა), რომელმაც ხვნისათვის 9 უღელი ფურკამეჩი გამოიყენა.

არიან კოლმეურნეობები, რომლებიც შეუწყნარებლივ აჭიანურებენ ხვნის ტემპებს. ასეთებია სოფ. საჯიჯაოს კოლმეურნეობა „სოციალიზმი" (თავმჯდომარე ვ. ქაჯაია), რომელსაც მუშა-საქონლით 10 მარტისათვის მხოლოდ 5 ჰექტარი ჰქონდა მოხნული. ჩამორჩენაა აგრეთვე სოფ. საჯიჯაოს ბერიას სახელობის, პირველი მაისის კაგანოვიჩის სახელობის, თორსა-ღლავის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობებში.

საჭიროა ხვნის ტემპების გაძლიერება. ამასთან სერიოზული ყურადღება ხარისხს უნდა მიექცეს.

გრ. ნანეიშვილი

მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი

წითელწყარო („კომუნისტის" საკ. კორ.). წითელწყაროს რაიონის მეცხოველეობის დარგის მუშაკები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 1943 წლის საოქტომბრო მოხსენებით და 1944 წლის 23 თებერვლის ბრძანებით, წარმატებით იბრძვიან საქონლის სულადობის გადიდებისათვის. მთელი რიგი კოლმეურნეობები სანიმუშოდ მოემზადნენ საქონლის კარგად გამოზამთრებისა და ნამატის მიღებისათვის. დროულად იქნა შეკეთებული საქონლის სადგომები, მოიმარაგეს საჭირო რაოდენობის საკვები, ფერმები დაკომპლექტებულ იქნა მწყემსებით და სხვ.

კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს დოლი. სოფ. ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი, ფერმის გამგე ვ. რობიტაშვილი) მიღებული 2.089 ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია. დოლის კარგად ჩატარებისათვის თავდადებით მუშაობენ ბრიგადირები დ. ნატროშვილი და ს. ბოსტოლანაშვილი, მწყემსები დ. რობიტაშვილი და ი. მართყოფლიშვილი. ამავე კოლმეურნეობაში მთლიანად შეინარჩუნეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნამატიც (ფერმის გამგე მ. ყოჩიაშვილი), მოგებული 33 ხბო ყველა ჯანსაღად არის.

დოლი კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელ არბოშიკში" (თავმჯდომარე ივ. სეფიაშვილი). აქ მიღებული 6.050 ბატკანი ყველა ცოცხალია. წარმატებით მუშაობენ ბრიგადირები: შ. ზუბადალაშვილი, ი. ალადაშვილი და გ. ბალაშვილი, მწყემსები: ზ. დათუკიშვილი, ს. ბალაშვილი, ი. ზუბადალაშვილი, პ. ალადაშვილი და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე კარგად მოემზადნენ დოლისათვის სოფ. ზემო მაჩხაანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ივ. ალადაშვილი, ფერმის გამგე მედალოსანი ი. სეხნიაშვილი), დროულად მოაწყეს საბატკნეები, ფარეხები, ვორაკნები და ბაკები, მოიმარაგეს უხეში და კონცენტრირებული საკვები. ფერმა უზრუნველჰყვეს სპეციალისტებით. შეარჩიეს მცნობარეები და მწყემსები. ბინებს გაუკეთეს დეზინფექცია. ფერმაში დოლის მიმდინარეობის პერიოდისათვის დააწესეს სადღეღამისო მორიგეობა და მიღებული 7.500 ბატკანი მთლიანად შეინარჩუნეს. ფერმაში მოწინავეებად ითვლებიან ბრიგადირები: მ. ქევხიშვილი, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯანაშვილი და მწყემსები ი. მრელაშვილი, ლ. ჯამასპიშვილი და გ. ცაკაშვილი.

დოლისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე ელდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. გიგაური), სადაც 11.925 ბატკნიდან მხოლოდ 8 ბატკანი მოკვდა. მეურნეობაში თავდადებით შრომობენ მწყემსები: ჩ. რობიტაშვილი, მ. მამედოღლი, გ. მარტყოფლიშვილი, ფ. ნატროშვილი, აბ. ნატროშვილი, ს. ჯანაშვილი და ად. ზედელაშვილი.

შ. მოლაშვილი

დეპეშები

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, იმ ნაწილების წინ, რომლებმაც იერიში მიიტანეს კასინოზე, ამერიკის მეხუთე არმიის ახალზელანდიელთა ჯარები მიდიოდნენ. მათ გასწმინდეს გზა ქალაქზე და მიაღწიეს მის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბნებს. ახალზელანდიელთა და ინდოელთა ნაწილებმა, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაიკავეს აგრეთვე გორაკები, რომლებიც ქალაქს დაჰყურებს.

მოწინააღმდეგემ მცირე ძალებით მიიტანა სამი იერიში ანციოსთან არსებული პლაცდარმის რაიონში, მაგრამ სამივე იერიში მოგერიებულ იქნა.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მტრის სამხედრო ობიექტებზე.

გასულ ღამეს მოკავშირეთა ბომბდამშენებმა კვლავ დაბომბეს რკინიგზის სასაქონლო სადგურები სოფიაში.

გამოვიდა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჟურნალი „ახალი იუგოსლავია"

კაირო, 17 მარტი (საკდესი). იუგოსლავიის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე დაიწყო ორკვირეულ ჟურნალ „ახალი იუგოსლავიის" გამოსვლა.

ამ ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებულია მთელი რიგი სტატიები, რომლებიც აშუქებენ იუგოსლავიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის სხვადასხვა პრობლემებს.

მარშალი ტიტო თავის სტატიაში სათაურით—„იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი განვითარებისა და ფედერატიული იუგოსლავიის შექმნისათვის"— აღნიშნავს იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტის ძირითად ამოცანებს. ამ ამოცანათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია, სწერს ტიტო, იუგოსლავიის განთავისუფლება. ტიტო აღნიშნავს, რომ ბრძოლის მთავარი სიმძიმე აწევს სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას, რომლის მომარაგების სახსრების წყაროსაც დღემდე წარმოადგენდა თვით ხალხის დახმარება, რასაც ხალხი ხალისით უწევს. მაგრამ ვინაიდან ომი უკვე სამი წელიწადია სწარმოებს, ხოლო მისი წარმოების ხარჯები უმთავრესად მოსახლეობის ღარიბულ ნაწილს აწევება, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამ მოსახლეობას თავის გამოსაკვებადაც კი აღარა აქვს სახსრები. მარშალი ტიტო სწერს, რომ სახალხო-განმათავისუფლებელი არმია შესძლებდა საჭირო დახმარების მიღებას საზღვარგარეთიდან და რომ მოკავშირე ქვეყნებმა აღუთქვეს ასეთი დახმარების აღმოჩენა.

სულ უფრო გადაუდებელი ხდება, განაგრძობს ტიტო, იმის აუცილებლობა, რომ სახალხო განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტი, რაც შეიძლება მალე აღიარებულ იქნას დე-იურე იუგოსლავიის ერთადერთ კანონიერ მთავრობად. ამას დაბეჯითებით მოითხოვს იუგოსლავიის ხალხთა ინტერესები.

ეხება რა ფინანსების პრობლემას, მარშალი ტიტო სწერს, რომ ომამდე და ომის პერიოდში იუგოსლავიის ხალხის ფული დაბანდებული იყო მოკავშირე ქვეყნებში. ამ ფულს კაიროში არსებული იუგოსლავიის მთავრობა დანაშაულებრივად ფლანგავს. ეს ფული ესაჭიროებათ იუგოსლავიის ხალხებს მძიმე განმათავისუფლებელი ომის საწარმოებლად, და ეს ფული საჭირო იქნება ხვალაც, როდესაც ბრძოლა დამთავრდება და გაპარტახებული ქვეყნის აღდგენის პერიოდი დაიწყება. ჩვენის აზრით, სწერს მარშალი ტიტო, იუგოსლავიის ხალხებს, რომლებიც ამდენ მსხვერპლს სწირავენ ამ ბრძოლაში საერთო-საკავშირო საქმეს, უფლება აქვთ იმედი იქონიონ, რომ მოკავშირე სახელმწიფოები მალე გასწყვეტენ ურთიერთობას გამცემლურ ემიგრანტულ მთავრობასთან და ამით დაეხმარებიან იუგოსლავიის ხალხებს შექმნან თავისი საკუთარი მთავრობა, რომელთანაც მოკავშირეები ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებენ.

ჟურნალში გამოქვეყნებულია აგრეთვე მილოვან ჯილასის სტატია „ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის მდგომარეობა მოსკოვისა და თეირანის კონფერენციების შემდეგ", დოქტორ ვლადიმერ ბაკარიჩის სტატია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ, ი. ბ. სტალინის 23 თებერვლის ბრძანება, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილის უკანასკნელი სიტყვები და მთელი რიგი სხვა მასალები.

ჰიტლერელები ძარცვავენ ლვოვს

სტოკჰოლმი, 17 მარტი (საკდესი). შვედური გაზეთი „მორგონ-ტიდნინგენი" იუწყება, რომ გერმანელებმა ლვოვში დახურეს ყველა ქარხანა, ხოლო მათი მოწყობილობა გაიტანეს კრაკოვში. რკინიგზის ქსელი მეტად გადატვირთულია. ლვოვში ხალხს ყოველდღე მასობრივად სჯიან სიკვდილით.

ფრანკო ჰიტლერულ გერმანიას ეხმარება

ნიუ-იორკი, 17 მარტი (საკდესი). ესპანელ რესპუბლიკელ ემიგრანტთა ბიულეტენში" ნოტისიას დე ესპანიაში", რომელიც ჰავანაში (კუბა) გამოდის, მოთავსებულია ამ ცოტა ხნის წინათ ესპანეთის სხვადასხვა ნაწილებიდან ჩამოსულ პირთა ცნობები ესპანეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. მათ დაადასტურეს წინანდელი ცნობები იმის შესახებ, რომ ესპანეთში კვლავ ჩადის ბევრი ახალგაზრდა გერმანელი. გერმანელი ინჟინრები და ტექნიკოსები ფაქტიურად ბატონობენ ბილბაოს ყველაზე მნიშვნელოვან საწარმოებში.

ესპანეთის დიდძალი ხომალდი, მათ შორის ერთი გემი, რომელიც ფრანკოს ძმას ეკუთვნის, ნედლეულს, ნავთსა და სხვა მასალებს ეზიდება გერმანიაში გადასაგზავნად. ელ-ფეროლში, ვიგოსა და სხვა ნავსადგურებში ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე გერმანელებმა ბაზები ააგეს თავიანთი წყალქვეშა ნავებისათვის. ესპანეთის მოსახლეობამ იცის, რომ ფრანკისტული ხელისუფალნი საზღვარგარეთიდან ესპანეთში შეტანილ საწვავს გერმანელთა წყალქვეშა ნავებს აწვდიან. ბევრი ესპანელი მუშა გაგზავნილია იძულებით სამუშაოებზე გიბრალტარის ახლოს სიმაგრეთა ასაგებად.

ამას წინათ ინგლისის ხომალდმა სეუტის ახლოს დააკავა ესპანეთის გემი, რომელსაც არგენტინიდან კონტრაბანდულად მიჰქონდა საჭურველი გერმანიაში გასაგზავნად.

ჟურნალის ცნობებით, ესპანეთში ფალანგის მეთაურები გერმანელებთან ერთად სპეკულატიურ ხრიკებს ეწევიან შავ ბაზარზე და აწყობენ ანტიფაშისტების სასტიკ დევნას. მაგრამ, ამ დევნის მიუხედავად, ესპანეთში ფართოდ გავრცელებულია არალეგალური ანტიფაშისტური მოძრაობა. ცნობები საბჭოთა ჯარების გამარჯვებათა შესახებ ხელს უწყობს იმ საქმიანობის აქტივიზაციას, რომელიც მიმართულია ფრანკოს წინააღმდეგ. პარტიზანები მრავალ დივერსიულ აქტს აწყობენ საწარმოებში და ლიანდაგიდან აგდებენ მატარებლებს, რომლებითაც გერმანიაში სურსათი იგზავნება.

პანიკა რუმინელ დამპყრობლებს შორის ბესარაბიაში

სტამბოლი, 17 მარტი (საკდესი). რუმინულმა გაზეთმა „კურენტულმა" გამოაქვეყნა ბესარაბიის რუმინელი „გუბერნატორის" გენერალ ოლიმპიუ სტავრატას მიერ გამოცემული ბრძანება, რომლიდანაც სჩანს, რომ ბესარაბიაში რუმინელ „კოლონისტთა" და მოხელეთა შორის გამეფებულია ნამდვილი პანიკა.

როგორც ბრძანებიდან სჩანს, მთელი ეს ხროვა ბესარაბიიდან გარბის, ამასთან მიმოსვლის ყოველგვარ საშუალებას — მატარებლებს, ავტომობილებსა და საზიდრებს იყენებს. ბევრნი ქვეითად მიდიან და პრუტზე ნავებით გადადიან.

გენერალმა სტავრატამ, რომელიც ცდილობს „წესრიგი დაამყაროს", აკრძალა სპეციალური ნებართვის უქონლად მდინარე პრუტზე გადასვლა და გამოსცა გაფრთხილება, რომ ყველა იმ პირს, ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, ძალად დააბრუნებენ უკან.

ომი წყნარ ოკეანეში

მოკავშირეთა ჯარები კუნძულ მანუსზე გადასხდნენ

ლონდონი, 17 მარტი (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედ მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარები გადასხდნენ კუნძულ მანუსზე (ყველაზე დიდი კუნძული საადმირალოს კუნძულებიდან). სადესანტო ოპერაციები უკვე წინათ დაკავებული ჰაუეისა და ბუტოლუის კუნძულებიდან არტილერიის ცეცხლისა და მოკავშირეთა ფლოტისა და ავიაციის დახმარებით სწარმოებდა. გადამსხდარმა ჯარებმა უმნიშვნელო ზარალი ნახეს.

ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი

(დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების გამო)

დიდ რუს ხელოვანთა შორის, რომლებმაც სახელი გაუთქვეს მშობლიურ მუსიკალურ კულტურას, გადმოგვიშალეს მთელი სიღრმე და სილამაზე ხალხის სულიერი ცხოვრებისა და რუსულ მუსიკას საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს მოწინავე ერთა კულტურის საგანძურში, საპატიო ადგილი უჭირავს კომპოზიტორ ნიკოლოზ ანდრიას-ძე რიმსკი-კორსაკოვს. გენიალურ გლინკასა და ჩაიკოვსკისთან ერთად რიმსკი-კორსაკოვი ნიჭიერი რუსი ხალხის უდიდესი წარმომადგენელია.



მარტო კომპოზიტორობით როდი შემოიფარგლება რიმსკი-კორსაკოვის მოღვაწეობა. იგი გვევლინება, როგორც ფართო გაქანების საზოგადო მოღვაწე, აქტიური პროპაგანდისტი მოწინავე მუსიკალური ხელოვნებისა, თანაავტორი და რედაქტორი მრავალი რუსული ოპერისა, მეცნიერი, გამოჩენილი პედაგოგი, პუბლიცისტი და დირიჟორი.

ნ. რიმსკი-კორსაკოვი დაიბადა 1844 წლის 18 მარტს ქალაქ ტიხვინში, ნოვგოროდის მახლობლად. პირველი თორმეტი წელი მან დაჰყო ჩრდილოეთ რუსეთის ლამაზ ბუნების წიაღში. აქვე გაეცნო იგი რუსი ხალხის წმინდად დაცულ ადათ-ჩვეულებებს, ხალხურ თქმულებებს, ზღაპრებსა და სიმღერებს. ყოველივე ეს ღრმად აღიბეჭდა მის ამთვისებელ შეგნებაში, რათა შემდეგში მდიდრულად გადმოშლილიყო მის უკვდავ ნაწარმოებებში. 1856 წელს რიმსკი-კორსაკოვი მიაბარეს პეტერბურგის საზღვაო კორპუსში, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა კადრებს ამზადებდა. იგი აქაც განაგრძობდა როიალზე მეცადინეობას უაღრესად კულტურული პედაგოგის ფ. ა. კანილეს ხელმძღვანელობით. უკანასკნელმა გააცნო იგი ყოფილ ოფიცერს მ. ა. ბალაკირევს და მის წრეს, რომელშიც შედიოდნენ: სამხედრო ინჟინერი ც. კიუი, სახელმწიფო მოხელე მ. პ. მუსორგსკი და არქეოლოგი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი ვ. ვ. სტასოვი. ბალაკირევის ეს წრე მთლიანად იქნა ჩამოყალიბებული, როდესაც მას შეუერთდა ახალგაზრდა ქიმიკოსი, მომავალი გამოჩენილი კომპოზიტორი ა. ბოროდინი. გლინკასა და დარგომიჟსკის შემდეგ ამ წრეს წილად ხვდა მნიშვნელოვანი ისტორიული მისიის შესრულება რუსული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში.

რიმსკი-კორსაკოვი, რომელიც ამ წრის აქტიური წევრი იყო, იმდენად გაიტაცა შემოქმედებითმა მუშაობამ, რომ ერთ დროს ფიქრობდა კიდეც ფლოტში სამსახურზე ხელის აღებას. მაგრამ სწორედ ამ დროს, 1862 წლის დამლევს, მან დაამთავრა საზღვაო სასწავლებელი და მოუხდა კლიპერ „ალმაზზე" გამგზავრება, საიდანაც იგი მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაბრუნდა. ზღვის გრანდიოზული სტიქიონისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ კომპოზიტორს შემდეგში, თავისი ბრწყინვალე სიმფონიურ და საოპერო ნაწარმოებებში („სადკო", „შაჰრაზადა", „სალტანი" და სხვ.) არაერთხელ გადმოუცია ზღვის თვალუწვდენი სივრცე მთელი თავისი სილამაზით.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ რიმსკი-კორსაკოვმა დაამთავრა სამი წლის წინათ დაწყებულ პირველ სიმფონიას, მას მოჰყვება უვერტიურები რუსულ და სერბიულ თემაზე, მეორე სიმფონია „ანტარი" და პირველი ოპერა „ფსკოვ-ვიტიანკა" („ფსკოველი ქალი"). ამ უკანასკნელი ნაწარმოების დადგმა პეტერბურგის საოპერო თეატრის სცენაზე 1873 წლის იანვარში გადაიქცა „ახალი რუსული სკოლის" ნამდვილ დღესასწაულად.

1877-78 წლიდან მოყოლებული რიმსკი-კორსაკოვი ჰქმნის მთელ რიგ შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ოპერები — „თოვლია" („სნეგუროჩკა"), „სადკო", „მეფის საცოლე", „ზღაპარი მეფე სალტანზე", „უკვდავი კაშჩეი", „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟზე" და „ოქროს მამალი"; სიმფონიური ნაწარმოებები — „ზღაპარი", „შაჰრაზადა", „ესპანური კაპრიჩიო", „სადკო", „სერბიული ფანტაზია" და „დუბინუშკა"; კამერული ნაწარმოებებიდან: რომანსები, კონცერტები სხვადასხვა საკრავებისათვის და სხვ.

1874-81 წლებში რიმსკი-კორსაკოვი ხელმძღვანელობს უფასო მუსიკალურ სკოლას, დაარსებულს მ. ბალაკირევის მიერ. 80-იანი წლებიდან კი განსაკუთრებულ გაქანებას პოულობს მისი დირიჟორული მოღვაწეობა „რუსულ სიმფონიურ კონცერტებზე".

1905 წელს რიმსკი-კორსაკოვმა ხელი მოაწერა იმ ღია წერილს, რომელშიც სტუდენტები მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებდნენ მეფის მთავრობას.

რიმსკი-კორსაკოვის მარტო პედაგოგიური მოღვაწეობა იქნებოდა საკმარისი მისი სახელის უკვდავსაყოფად. მართლაც, მის მიერ მომზადებული 200-მდე მუსიკოსიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან: გლაზუნოვი, ლიადოვი, არენსკი, იპოლიტოვ-ივანოვი, გრეჩანინოვი, ჩერეპნინი, სტრავინსკი, გნესინი, პროკოფიევი, მიასკოვსკი და სხვ. მისივე მოწაფეები არიან უკრაინული მუსიკის კლასიკოსი ლისენკო და სომხური მუსიკის მამამთავარი ა. სპენდიაროვი.

მრავალი წლის პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეთოდურ დაკვირვებათა შედეგია მისი კლასიკური ნაშრომები: „ინსტრუმენტობის საფუძვლები" და საყოველთაოდ ცნობილი „ჰარმონიის სახელმძღვანელო", თარგმნილი 11 ენაზე (ამ წიგნის ქართული თარგმანი შესრულებული აქვს მუსიკათმცოდნეს და კომპოზიტორს გრ. ზ. ჩხიკვაძეს). უდიდესი ისტორიული მნიშვნელობისაა კორსაკოვის „ჩემი მუსიკალური ცხოვრების მატიანე", რომლის დამთავრება კომპოზიტორმა ვერ მოასწრო. იგი გარდაიცვალა 1908 წლის 7 იანვარს.

თავის საოპერო შემოქმედებაში რიმსკი-კორსაკოვი ეყრდნობა ერთის მხრივ იდეალიზებულ ხალხურ ყოფა-ცხოვრებას, რუსულ ბუნებას, უკვდავი კლასიკოსების — პუშკინისა და გოგოლის ნაწარმოებებს, ხალხურ ზღაპარსა და ლეგენდას; მეორე მხრივ იგი ფართოდ იყენებს სათანადოდ გადამუშავებულ რუსული და ნაწილობრივ უკრაინული მუსიკალური ფოლკლორის მდიდარ მასალას, რაც საფუძვლად უდევს მთელ მის ნაწარმოებებს. ამიტომაა, რომ ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედება გამსჭვალულია ხალხურობით.

რიმსკი-კორსაკოვი როგორც ნოვატორი, შემქმნელია ახალი ტიპის ოპერებისა, მანვე გაამდიდრა მუსიკალური გამომსახველი საშუალებანი ახალი მელოდიური და ჰარმონიული ბრუნვებით, ბრწყინვალე ორკესტრობით და ახალი დრამატურგიული ხერხების გამოყენებით.

რიმსკი-კორსაკოვი მსოფლიო მოვლენაა. მისმა კოლორიტულმა ორკესტრმა ძლიერი გავლენა მოახდინა ფრანგულ იმპრესიონისტულ მუსიკაზე, კერძოდ დებიუსიზე.

დიდი ხელოვანი პატრიოტის, კომპოზიტორ-ჰუმანისტის რიმსკი-კორსაკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმი განსაკუთრებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გამოხმაურებას პოულობს საბჭოთა კავშირში, დღეს, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმია ათავისუფლებს ჩვენი დიადი სამშობლოს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

პავლე ხუჭუა

განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

თბილისში ჩატარდა საქართველოს განათლების მუშაკთა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ განათლების განყოფილებათა გამგეები და თბილისის განათლების მუშაკები. თათბირმა მოისმინა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. კიკნაძის მოხსენება მოსწავლეთა ყოფა-ქცევის წესების საქართველოს სკოლებში განხორციელების შედეგების შესახებ და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საშუალო სკოლების სამმართველოს გამგის ამხ. უ. ობოლაძის მოხსენება სახალხო განათლების ორგანოების მხრივ სკოლების ხელმძღვანელობაზე.

ყოფა-ქცევის წესების სკოლებში დანერგვამ, როგორც მოხსენებიდან და მოკამათეთა სიტყვებიდან გამოირკვა, დიდად შეუწყო ხელი სკოლებში დისციპლინის განმტკიცებას და მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას, საგნების უკეთ შეთვისებას. ამ მხრივ საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს ცხაკაიას, გურჯაანის, ზესტაფონის, გორის, ლანჩხუთის რაიონების და თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სხვა სკოლებმა. აღინიშნა აგრეთვე, რომ მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ვერ გამოიყენეს მოსწავლეთა ყოფა-ქცევის წესები სასწავლო დისციპლინის განსამტკიცებლად. ერთი რაიონის განათლების განყოფილებამ მოსწავლეთა ყოფა-ქცევის წესები დაბეჭდა საკუთარი დამატებებით, რაც არასწორია. თათბირზე დაასახელეს თბილისის მეხუთე ვაჟთა და 23-ე ქალთა სკოლები, გორის მე-4, ჭალადიდის და სხვა სკოლები, რომლებშიც სათანადო წესრიგი ჯერ კიდევ არ არის დამყარებული.

თათბირზე აღინიშნა აგრეთვე განათლების ორგანოების ყოველდღიური კონკრეტული დახმარება სკოლებისადმი და ნაკლოვანებები განათლების ორგანოების მეთოდიკურ მუშაობაში. ბევრგან სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ ესწრებიან გაკვეთილებს, ანდა ესწრებიან, მაგრამ სათანადო მეთოდურ დახმარებას არ უწევენ მასწავლებლებს.

ორივე მოხსენების გარშემო თათბირმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

დ. ცანავა

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი

კომუნისტების ინიციატივა და პირადი მაგალითი

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა გასული სასოფლო-სამეურნეო წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრეს. მარცვლეულ კულტურათა უხვი მოსავალი 13.225 ჰექტარზე შემჭიდროებულ ვადებში აიღეს. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის კრეფისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების პასუხად რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება 1943 წელთან შედარებით მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა თითოეულ ჰექტარზე გაადიდონ 5-10 ცენტნერით, უზრუნველჰყონ მესაქონლეობის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლება. 1944 წლის უხვი მოსავლის მტკიცე საძირკვლის ჩასაყრელად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ყველა კოლმეურნეობა, ბრიგადა, რგოლი და კოლმეურნე. ამის შედეგად 15 მარტისათვის მოხნული იყო 8.600 ჰექტარი—გასული წლის ამავე რიცხვთან შედარებით ორჯერ მეტი, გატანილია მინდვრად 10.000 ტონა ნაკელი, შერჩეულია მაღალი კონდიციის სათესლე მასალა, შეკეთებულია ყველა სახის ინვენტარი.

ეს წარმატებები მოპოვებულია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნით ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე, საკოლმეურნეო წარმოებაში კომუნისტების ინიციატივის, პირადი მაგალითისა და მაორგანიზებელი როლის ამაღლებით.

სოფელ ნორიის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კომუნისტები ყველაზე მნიშვნელოვან უბნებზე მუშაობენ. პარტიის წევრი მედალოსანი ამხ. შ. ჩაჩავა კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ამხ. ლ. ნადარეიშვილი აგრონომია, ავქსენტი ჩიჩია მერგოლურია, დანარჩენები კი ფიზიკურად მუშაობენ. კომუნისტებმა ავტორიტეტი და პატივისცემა საკოლმეურნეო წარმოებაში შეუპოვარი შრომით დაიმსახურეს. ისინი მოწინავე სტახანოველები არიან და მაღალნაყოფიერი შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან. მაგალითად, მემინდვრეობის ბრიგადამ, რომელსაც სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატი კომუნისტი ამხ. ა. ჩაჩავა ხელმძღვანელობს, 20 დღით ადრე მაღალხარისხოვნად დაამთავრა პირველი ხვნა, მინდვრად გაიტანა 100 ტონამდე ნაკელი და ახლა სხვა ბრიგადებს ეხმარება.

პარტიული ორგანიზაცია განუწყვეტლივ ზრუნავს საკოლმეურნეო მინდვრებში მოწინავე აგროტექნიკის დანერგვისათვის, კომუნისტების ინიციატივით წელს 4 ჰექტარზე აწყობენ სტახანოვურ ნაკვეთს. მათ ვალდებულება იკისრეს თითოეულ ჰექტარზე აიღონ 300 ფუთი სიმინდი. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებისა და მოწინავე აგროტექნიკის შესწავლის მიზნით პარტორგანიზაციის ინიციატივით შექმნილია სტახანოვური სკოლები. პარტიული ორგანიზაცია ეყრდნობა მრავალრიცხოვან აქტივს. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა. გეგმით გათვალისწინებული 310 ჰექტარიდან უკვე მოხნულია 250 და მინდვრად გატანილია 600 ტონა ორგანული სასუქი.

სოფელ ქოლობნის სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში კომუნისტები ამხ. კოსტა ფრანგიშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და ნიკოლოზ საფარიშვილი (პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი) სოფლის მეურნეობის კარგად მცოდნე უპარტიო აქტივისტებთან ერთად სისტემატურად ატარებენ საუბრებს. მოსავლის გადიდების ღონისძიებანი, ბრიგადებში შრომის ორგანიზაცია, რგოლის მუშაობა—ასეთია ამ საუბრების თემა. ენერგიული მუშაობის შედეგად კოლმეურნეობამ შარშან 545 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან მაღალი მოსავალი მიიღო, საშუალოდ ჰექტარზე 16 ცენტნერი. კოლმეურნეებს შრომადღეზე ხვდათ 6 კილოგრამი სიმინდი და 8 მანეთი ფულად. კომუნისტები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და გადასწყვიტეს კიდევ უფრო აამაღლონ მოსავლიანობა. თითოეული ჰექტარიდან 22 ცენტნერი სიმინდი, 16 ცენტნერი სოია, 10 ცენტნერი ლობიო—ასეთია მოსავლიანობის ციფრი, რომელიც მათ 1944 წლისათვის დაისახეს. სათესლე მასალა შერჩეულია გეგმით გათვალისწინებულზე მეტი, გამწევი ძალა გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, შეკეთებულია ინვენტარი, მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა. დღემდე მოხნულია 460 ჰექტარამდე, რაც კოლმეურნეობის სათესი ფართობის 90 პროცენტს შეადგენს. შეუპოვარი შრომით თავი ისახელეს მემინდვრეობის ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები შოთა მიქელაძე და რაჟდენ ლალიაშვილი ხელმძღვანელობენ. ამ ბრიგადებმა თავიანთი ფართობების საგაზაფხულო ხვნა უკვე დაამთავრეს და ენერგიულად ემზადებიან თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებისათვის.

აბაშის მტს-მა ვადამდე ორი თვით ადრე დაამთავრა ტრაქტორთა საშემოდგომო-საზამთრო რემონტი, 15 მარტისათვის მოხნა 950 ჰექტარი ფართობი. სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ამხ. რომანოზ ბოკერია ხელმძღვანელობს, ორმაგად ასრულებს ხვნის დღიურ დავალებებს. ბრიგადირი დიდი ხალისით უზიარებს თავის გამოცდილებას ახალგაზრდა ტრაქტორისტებს.

სოფელ ონტოფოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. ბ. ბელავა) სწვდება საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგს. არ არის ისეთი ღონისძიება, რომლის გატარებაში კომუნისტები აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ. კოლმეურნეობას სათავეში უდგას კომუნისტი ამხ. ო. დავითაია. ის სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკია. დავითაია მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ახმარს შრომის ნაყოფიერების ზრდას და საკოლმეურნეო დოვლათის ახალი წყაროების გამოძებნას. კომუნისტები ამხ. ვერა დავითაია და გივი ნადარეიშვილი მემინდვრეობის მოწინავე ბრიგადირები არიან, ხოლო სხვები ფიზიკურად მუშაობენ და ომიანობის დროის სტახანოველები გახდნენ. კოლმეურნეობის პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკებმა შეწყობილი შრომით შარშან 315 ჰექტარი საუცხოოდ დამუშავებულ სიმინდის ნათესიდან უხვი მოსავალი მიიღეს. წელს 30 ჰექტარით ადიდებენ ნათეს ფართობს, აითესებენ 40 ჰექტარ ყამირ მიწას, 6 ჰექტარზე აწყობენ სტახანოვურ ნათესს, იკისრეს ვალდებულება თითოეულ ჰექტარზე აიღონ 20 ცენტნერი სიმინდი, ხოლო სტახანოვურ ჰექტარზე—35 ცენტნერი. პარტორგანიზაციამ ახალი ძალით გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. შეჯიბრებაში ჩაება უკლებლივ ყველა კოლმეურნე. კომუნისტები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის პირადი მაგალითით კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს აღაფრთოვანებენ თავდადებული შრომისათვის. ფრონტელთა მამები, 70-80 წლის ამბაკო დოდელია და ალექსანდრე კუხალეიშვილი დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ—წელს თითოეულმა მათგანმა 80-მდე შრომადღე გამოიმუშავა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ფრონტელთა ცოლებმა სულიკო ნადარეიშვილმა, მაგდანე დარჯანიამ, კატუშა ნადარეიშვილმა. ისინი გუთნისდედებად მუშაობენ და დღეში ხვნის ორ ნორმას ასრულებენ.

მინდვრებსა და პლანტაციებში მაღალნაყოფიერად მუშაობენ ბაქრაძის, ორჯონიკიძის, ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტები.

საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში კომუნისტები გვიჩვენებენ შესანიშნავ მაგალითს და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში უპარტიო კოლმეურნეების ღირსეული წინამძღოლნი არიან. კოლმეურნეობასა და მტს-ში მომუშავე 350 კომუნისტიდან 300 ომიანობის დროის სტახანოველია.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში გაისმის 500 აგიტატორისა და წამკითხველ-მესაუბრის მგზნებარე სიტყვა, როგორც საბრძოლო მოწოდება სამშობლოს დაცვისა და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის. კომუნისტ აგიტატორთა შორის განსაკუთრებით განირჩევიან თამარ გაბელაია, თამარ თვალთვაძე, სონია თოფურია და სხვ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პირველად პარტორგანიზაციაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა გარდაქმნილი არ არის ომიანობის დროის შესაბამისად. კომუნისტები აქტიურად არ არიან ჩაბმულნი საწარმოო ცხოვრებაში, არ გვიჩვენებენ ავანგარდულ როლს. ამით აიხსნება ის, რომ სოფელ ნორიის სტალინის სახელობის, სოფელ გეზათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობა „ლენინის გზით" ვერ აღწევენ მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობისა და მესაქონლეობის პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებლებს. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ კოლმეურნეობებში პარტიული მუშაობის გარდაქმნისათვის, საკოლმეურნეო წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის.

აბაშის რაიონის პარტორგანიზაცია ყოველდღიურად იბრძოლებს უმაღლესი მხედართმთავრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ყველა მითითების განუხრელად განხორციელებისათვის. რაიონის კომუნისტები არაპარტიულ ბოლშევიკებთან ერთად თავგამოდებით იმუშავებენ იმისათვის, რომ 1944 წელს მიიღონ უხვი სამხედრო მოსავალი, ფრონტსა და ქვეყანას მისცენ მეტი სურსათი და ნედლეული პირსისხლიან ფაშისტურ ურჩხულზე სრული გამარჯვების დასაჩქარებლად.

შუქშენიღბვის დისციპლინის დამრღვევნი

ქალაქ თბილისის მცხოვრებნი: ანა იაკობის-ასული შუტიხინა, მიხეილ გიორგის-ძე ჩიტრახაშვილი, ზინაიდა ალექსანდრეს-ასული სკვორცოვა, ელენე დავითის-ასული ფირცხალავა, ალექსანდრა დიმიტრის-ასული ლაზუტინა და მაკარი პოლუსის-ძე მაგრაბიანი, რომლებმაც ამ უკანასკნელ დღეებში დაარღვიეს შუქშენიღბვის დისციპლინა, დაჯარიმებულ იქნენ 500 მანეთით თითოეული.

შუქშენიღბვის დისციპლინის ბოროტად დარღვევისათვის მოქალაქე მარიამ პავლეს-ასული ჩიკვაძე მიცემულია სამართალში.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

19 მარტს, დღის 1 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო კრებაზე, საზოგადოების სხდომათა დარბაზში (ლ. კეცხოველის ქუჩა, № 11), დოც. დონდუა წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„საბა-სულხან ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა"**. დასწრება თავისუფალია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო

ყოველ მზრუნველ მოქალაქეს შეუძლია უზრუნველჰყოს თავისი თავი და ოჯახი **სახდაზღვევაში სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების** დადებით.

სიცოცხლის შერეულ დაზღვევაში სახდაზღვევა გასცემს სადაზღვევო თანხას:

ა) **თვითონ დამზღვევზე**—მის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასაკის მიღწევისას და უბედური შემთხვევის შედეგად ინვალიდობის შემთხვევაში.

ბ) **ოჯახის წევრებსა და მახლობლებზე**—დაზღვეულის დაწესებულ ვადაზე ადრე სიკვდილის შემთხვევაში.

დაზღვევის დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის სარაიონო და საქალაქო ინსპექციებს ან დაზღვევის აგენტებს.

დაეზღვიეთ სიცოცხლის შერეული დაზღვევის წესით.

საქართველოს სამედიცინო გამომცემლობა „საქმედგამი" აცხადებს, რომ **შალვა ალანის-ძე გოდაბრელიძე** არ მუშაობდა და არც ამჟამად მუშაობს საქმედგამში რწმუნებულად ან სხვა რაიმე თანამდებობაზე და რომ მედგამომცემლობა **საერთოდ** არ აწარმოებს თავისი პროდუქციის გასაღებას რწმუნებულებისა და აგენტების საშუალებით.

ცოლი მარიამ, შვილი კოტე, რძლები კლავდია, ელო, შვილიშვილები იუწყებიან **მიხეილ სიმონის-ძე ჯაშიაშვილის** გარდაცვალებას. 312

მეუღლე მიხეილ ქურული, შვილი ოთარ იუწყებიან **ნადეჟდა ალექსანდრეს-ასულ ქურულის** გარდაცვალებას. გამოსვ. 19/III, 4 ს. ქ. ცეტკინის, 123. 313

დედა ნინო, დები ნატალია, სოფიო, ძმები გიორგი, ვანო, იოსებ იუწყებიან, რომ 19/III, 2 ს. კუკიის სასაფლ. დანიშნულია **ნინო კენჭიაშვილი-გადახაბაძის** პანაშვიდი.

შვილები ქუჩუკ, ვალერიან, სერგი, გიორგი, თალიკო, პასიკო, კაკია იუწყებიან, რომ 19/III, 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია მათი დედის **ეგრასტი ახვლედიანის** პანაშვიდი.

„გრეხილ-ავეჯის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ი. ჩხეიძის მამის **ალექსანდრე ილიას-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას. გამოსვ. 19/III, 3 ს. ნინოშვილის, 26.

ძმები სერგო, სიმონ, ივანე, გრიშა, და ელენე ოჯახებით იუწყებიან, რომ 19/III, 1 ს. ვაკის სასაფლ. დანიშნულია **დავით ილიას-ძე ჯაფარიძის** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 01167